ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 187 (989) | ხუთშაბათი, 20 ოქტომბერი, 1994 წელი. | ფასი 100,000 კუპონი.

თბილისი
ინდოეთის პრემიერ-მინისტრი, ახალი დელი,
17 ოქტომბერი, 1994.

მის აღმატებულებას ედუარდ შევარდნაძეს პარლამენტის თავმჯდომარეს — საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურს

ძვირფასო ბატონო თავმჯდომარე!

მადლობას მოგახსენებთ იმ თბილი გრძნობისათვის, რომელიც თქვენ გამოხატეთ ინდოეთისა და საქართველო-ინდოეთის ურთიერთობის მიმართ. ჩვენ დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ამ ურთიერთობას და შევეცდებით მათ შემდგომ განვითარებას, ჩვენს ორ ხალხს შორის ტრადიციული კეთილგანწყობის შესაბამისად.

ცივი ომის შემდგომ პერიოდში მხოლოდ ხსვადასხვა კუთხეში შექმნილი სიტუაციისადმი ჩვენი იმედები და გულისტკივილი საერთოა. ჩვენ განუხრელად გვჯეროდა, რომ სუვერენული სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა ქმნის გლობალური მშვიდობისა და სტაბილურობის ქვაკუთხედს. მოსკოვის დეკლარაცია პლურალისტური სახელმწიფოების ინტერესების დაცვის შესახებ, რომელსაც მე ახლახან მოვაწერე ხელი პრეზიდენტ ელცინთან ერთად, მიმართულია იმ უდიდესი პრობლემების გადაჭრისაკენ, რომლებიც გამოიკვეთა უკანასკნელ წლებში. დეკლარაცია მკაფიოდ გამოხატავს ზოგიერთ აუცილებელ პრინციპს მსოფლიოში უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის შესაქმნელად.

მადლობელი ვარ თქვენს მიერ საქართველოში მიპატიჟებისათვის. სიამოვნებით ჩამოვალ თქვენს ქვეყანაში მხარეებისათვის მოსახერხებელ დროს.

კიდევ ერთხელ მინდა დაგარწმუნოთ თქვენდამი ჩემს ღრმა პატივისცემაში საუკეთესო სურვილებით.

თქვენი **პ. ვ. ნარასიმა რაო.**

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის განკარგულება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში, სამინისტროებსა და უწყებებში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებების, განკარგულებებისა და სხვა დავალებების შესრულების მიმდინარეობის შესახებ

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებები, განკარგულებები და სხვა დავალებები მოიცავს სახელმწიფოებრივი მშენებლობის, ქვეყნისათვის აუცილებელ და საჭირო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების, მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ღონისძიებათა რეალიზაციის საკითხებს, რომელთა შესრულებაც უკავშირდება სხვა პრობლემებთან ერთად მოსახლეობისათვის საარსებო პირობების უზრუნველყოფას.

ბევრ უმნიშვნელოვანეს საკითხებზე დავალებათა შესრულება მიმდინარეობს არადამაკმაყოფილებლად, ხშირ შემთხვევაში გაუმართლებლად ჭიანურდება მათი რეალიზაცია ზოგიერთ სამინისტროებსა და უწყებაში, მინისტრთა კაბინეტის ქვედანაყოფებში.

თანამედროვე ეტაპზე ანტიკრიზისული პროგრამის განხორციელებაში, დასახული რეფორმების დროულად და ხარისხიანად შესრულებაში განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს სამთავრობო სტრუქტურებში, სამინისტროებსა და უწყებებში საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების, დავალებების შესრულების მიმდინარეობის კონტროლის, მისი ეფექტიანობის ამაღლების საკითხები.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში, სამინისტროებსა და უწყებებში საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებების, განკარგულებებისა და სხვა დავალებების სათანადო შესრულებისა და შესრულების მიმდინარეობის კონტროლის უზრუნველყოფის მიზნით:

1. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს (ო. ფაცაცია) განიხილოს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატის მოხსენებითი ბარათი „რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტში, სამინისტროებსა და უწყებებში სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებებით, განკარგულებებით, რეზოლუციებით და საოქმო გადაწყვეტილებებით განსაზღვრულ დავალებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ" და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები მასში აღნიშნული ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, მიიღოს მკაცრი ზომები იმ თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებმაც ვერ გაართვეს თავი დავალებათა შესრულებას;

უმოკლეს ვადაში შეიმუშაოს და დანერგოს დავალებათა შესრულების მიმდინარეობის კონტროლის სისტემის სრულყოფის ღონისძიებები.

სისტემატურად მოისმინოს სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელობის ინფორმაციები მათდამი დაქვემდებარებულ ორგანიზაციებში დავალებათა შესრულების მიმდინარეობის, თანამშრომელთა პერსონალური პასუხისმგებლობის, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცების შესახებ.

2. დაეკისროს პერსონალური პასუხისმგებლობა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურისა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დავალებების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

განხილულ იქნეს დავალებების შესრულების მიმდინარეობის კონტროლის ეფექტიანობის ამაღლებისათვის სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა ერთ-ერთი მოადგილის თავმჯდომარეობით სპეციალური საკონტროლო ჯგუფის შექმნის მიზანშეწონილობის საკითხი.

3. საქართველოს რესპუბლიკის კონტროლის პალატამ (რ. შავიშვილი), რესპუბლიკის პროკურატურამ (ჯ. ბაბილაშვილი) განახორციელონ განსაკუთრებული ღონისძიებები საქართველოს რესპუბლიკის კანონების, საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებებისა და განკარგულებების საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებების შესრულების საქმეში საკონტროლო საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

4. საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის აპარატმა (ვ. ლორთქიფანიძე) ცენტრალურ მმართველობით ორგანოებთან სათანადო საქმიანი ურთიერთობით კიდევ უფრო გააძლიეროს ძალისხმევა სახელმწიფოს მეთაურის დავალებების შესრულების კონტროლის მექანიზმის სრულყოფასა და დავალებების დაგეგმილ ვადებში შესრულებისათვის.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრის ბრძანება

1994 წლის 18 ოქტომბერი — ქ. თბილისი

საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებული ძალებიდან ვადიანი სამსახურის სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნისა და რესპუბლიკის მოქალაქეთა სავალდებულო სამხედრო სამსახურში მორიგი გაწვევის შესახებ

„საყოველთაო სამხედრო ვალდებულების შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 29 დეკემბრის კანონის შესაბამისად და რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 29 აგვისტოს № 606 დადგენილების შესასრულებლად

ვბრძანებ:

1. დათხოვნილ იქნან 1994 წლის ნოემბერში შეიარაღებული ძალების რიგებიდან რეზერვში სამხედრო ნაწილების, დაწესებულებებისა და სასწავლებლების სერჟანტები, მიჩმანები, რიგითები და მატროსები, რომლებმაც კანონით დადგენილ ვადებში მოიხადეს სავალდებულო სამხედრო სამსახური.

სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებსაც ფაქტობრივად არ გაუვლიათ სამხედრო სამსახური სრულად (24 თვე), გადაუვადდეთ დათხოვნა მის შესრულებამდე.

სამხედრო ნაწილების მეთაურებმა, დაწესებულებებისა და სასწავლებლების უფროსებმა სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილები უზრუნველყონ ყველა სახის კმაყოფითა და საჭირო საბუთებით დადგენილი ნორმებისა და წესის მიხედვით.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების კომისარიატებმა ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებთან ერთად, არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, გაუწიონ დახმარება სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილებს შრომითი მოწყობის, სწავლის გაგრძელებისა და სხვა მატერიალურ-საყოფაცხოვრებო საკითხების მოგვარებაში.

2. სამხედრო მოსამსახურეთა დათხოვნასთან (პუნქტი 1) დაკავშირებით გაწვეული იქნან ოქტომბრიდან დეკემბრამდე სავალდებულო სამხედრო სამსახურში მოქალაქეები, რომელთაც გაწვევის დღისთვის შეუსრულდათ 18 წელიწადი, აგრეთვე უფროსი ასაკის წვევამდელები, რომელთაც დაუმთავრდათ გაწვევის გადავადების დრო, ან არ ყოფილან გაწვეული სხვადასხვა მიზეზების გამო.

რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების სამხედრო კომისრებმა, თავდაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურების უფროსებმა, სამხედრო შენაერთებისა და ნაწილების მეთაურებმა განახორციელონ საჭირო მოსამზადებელი ღონისძიებანი წვევამდელთა ორგანიზებული გაწვევის, ნაწილებში მათი მიღების, განთავსებისა და ყველა სახის კმაყოფით უზრუნველყოფისათვის.

3. ბრძანება გამოცხადდეს შეიარაღებული ძალების ყველა ასეულში, ბატარეაში, ესკადრილიაში, გემსა და საგუშაგოზე.

თავდაცვის მინისტრი
გენერალ-ლეიტენანტი
ვ. ნადიბაიძე.

„ამერიკის ხმა" ითანამშრომლებს საქართველოს რადიოსთან

18 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო „ამერიკის ხმის" საერთაშორისო ურთიერთობის განყოფილების უფროსის მოადგილე უილიამ ბელი, რომელიც საქართველოში საქმიან მოლაპარაკებას აწარმოებს რესპუბლიკის ტელერადიოკორპორაციის წარმომადგენლებთან.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ უახლოეს დროს, ალბათ, შესაძლებელი გახდება რადიოსადგურ „ამერიკის ხმის" გადაცემების ტრანსლაცია საქართველოში. ამასთან დაკავშირებით განიხილეს ურთიერთთანამშრომლობის პერსპექტივების ძირითადი მიმართულებები. გამოითქვა რწმენა, რომ „ამერიკის ხმის" გადაცემები ობიექტურად ასახავენ მსოფლიოში და, კერძოდ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს.

შეხვედრას ესწრებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წარმომადგენელი ჯ. ხაჩისონი, საქართველოს ტელერადიოკორპორაციის ხელმძღვანელი ა. გოგელია.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

მსოფლიო საზოგადოებრიობა ამ წიგნით შეიტყობს სიმართლეს აფხაზეთის შესახებ

18 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ — სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო გამომცემლობა „გოტიკ იმიჯი"-ის გამომცემელი ფრენსის ბაუარდ გორდონი და გამომცემლობის რედაქტორი ენტონი ანდერსონი.

ინგლისელმა სტუმრებმა სახელმწიფოს მეთაურს წარუდგინეს აფხაზეთის კონფლიქტის ამსახველი სვეტლანა ჩერვონნაიას ცნობილი წიგნის „პოსტკომუნისტური ვანდეა"-ს ინგლისური გამოცემა, რომელიც გამოშვებულია ამ გამომცემლობის მიერ და რომლის პრეზენტაცია გაიმართება 6 ნოემბერს ლონდონში.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს გაწეული შრომისათვის და აღნიშნა, რომ ამ წიგნის მეშვეობით მსოფლიო საზოგადოებრიობას მიეცემა საშუალება გაიგოს სიმართლე იმის შესახებ, თუ რა ტრაგიკული მოვლენები განვითარდა აფხაზეთის ომის დროს.

შეხვედრას ესწრებოდა ფონდ „დემოკრატია და აღორძინების" თავმჯდომარე ს. ხაბეიშვილი.

სახელმწიფოს მეთაურის პრესსამდივანი.

მთაწმინდის მიწამ მიიბარა

ქართველმა ხალხმა თავისი ზნეობრივი ვალი მოიხადა გამოჩენილი მამულიშვილის, დიდი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის სოლომონ დოდაშვილის ხსოვნის წინაშე. 1832 წელს რუსეთის ცარიზმის ხელისუფლების მიერ ვიატკაში გადასახლებული და 1836 წელს იქ აღსრულებული დიდი ქართველი მოღვაწის ნეშტი თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ გადმოასვენეს თბილისში.

18 ოქტომბერს, შუადღისას, სიონის საკათედრო ტაძარში გაიმართა სამოქალაქო პანაშვიდი. ტაძრის შუაგულში ხელოვნურ კვარცხლბეკზე მდგარი კუბო შემკული იყო თიგულებით, გვირგვინებით, რომლებიც სახელოვანი მამულიშვილის სოლომონ დოდაშვილის ხსოვნის პატივსაცემად მოიტანეს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის, მშობლიური სოფლის მალაროს მცხოვრებლების, სიღნაღის რაიონის გამგეობის და ამავე რაიონის ინტელიგენციის, საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩოს, ქალაქის საზოგადოებრიობის სახელით.

პარაკლისი გადაიხადა სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ.

პირველ საათზე კუბო გამოასვენეს ტაძრიდან. პროცესია ქართველ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონისაკენ გაემართა.

სამგლოვიარო მიტინგი გახსნა სოლომონ დოდაშვილის ნეშტის დამკრძალავი სამთავრობო კომისიის თავმჯდომარემ, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ირაკლი მენაღარიშვილმა.

სოლომონ დოდაშვილის შემოქმედებაზე, მის ღვაწლზე ქართველი ერის წინაშე, სულიერ მემკვიდრეობაზე, რომელიც შემდგომ ილია ჭავჭავაძემ და მისმა თაობამ გააღრმავა და განავრცო, ისაუბრეს საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ვახტანგ გოგუაძემ, აკადემიკოსმა ნიკო ჭავჭავაძემ, მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ გურამ ფანჯიკიძემ, უნივერსიტეტის პრორექტორმა რისმაგ გორდეზიანმა, პროფესორმა თამარ კუკავამ, მწერალმა ლევან სანიკიძემ, მოსკოვის ქართველთა საზოგადოების პრეზიდენტმა ანჟელიკა დოდაშვილ-ფირსოვამ, სიღნაღის რაიონის გამგებელმა ვაჟა ცაბუტაშვილმა.

ცხუმ-აფხაზეთის მთავარეპისკოპოსმა დანიელმა აკურთხა საფლავი, რომელშიც ჩაასვენეს სოლომონ დოდაშვილის ნეშტი.

დაკრძალვის ცერემონიას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე, ქალაქის მერი ნიკოლოზ ლეკიშვილი, რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ზემსკი, სოლომონ დოდაშვილისა და მისი ძმის შთამომავალნი.

სურათზე: სამგლოვიარო მიტინგი მთაწმინდაზე. სიტყვით გამოდის ანა დოდაშვილი.

იური მეჩითოვის ფოტო.

მერვე სვეტი

ანონსი

ჩვენი გაზეთის სახვალინდელ ნომერში მკითხველი გაეცნობა სახელმწიფოს მეთაურის — პარლამენტის თავმჯდომარის ედუარდ შევარდნაძის გამოსვლას სამართალდამცავი ორგანოების მუშაკთა თათბირზე — „ჩვენ აღებული კურსიდან არ გადავუხვევთ, ვიბრძოლებთ, სანამ ქვეყანაში სრული წესრიგი არ დამყარდება".

„იმედის" ლენტიდან

დაბა ჯვარი. დაბა ჯვარში განსახლებული ლტოლვილები, რომელთა 90 პროცენტი გალის რაიონის მცხოვრებლები არიან, საკვების პროდუქტების ნაკლებობას განიცდიან.

თბილისი. ხვალ, 21 ოქტომბერს, თბილისის ოპერისა და ბალეტის ერთგული თეატრის შენობაში გაიმართება საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების საბჭოს I ყრილობა, ყრილობაზე დაამტკიცებენ საბჭოს წესდებას და აირჩევენ ხელმძღვანელ ორგანოებს.

ზუგდიდი. 18 ოქტომბერს ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზრის ტერიტორიაზე დაუდგენელმა პირმა მოახდინა აფეთქება, რის შედეგადაც სხეულის მსუბუქი დაზიანება მიიღო რამდენიმე მოქალაქემ.

კასპი. 18 ოქტომბერს, 15.00 საათზე, კასპიდან 3-4 კმ-ში მდებარე [illegible] ტყეს გაუჩნდა ცეცხლი. 22.00 საათისათვის ხანძარი ჩააქრეს. დაიწვა 2 ჰა მიწის ფართობი. ხანძრის გამომწვევი მიზეზები დგინდება.

ლანჩხუთი. 17 ოქტომბერს სოფ. ჩიბათის ტერიტორიაზე ლანჩხუთის შინაგან საქმეთა განყოფილების ოპერატიულმა ჯგუფმა გააჩერა გაზ 21-07 მარკის უნომრო ავტომანქანა. ავტომანქანაში მსხდომმა მოქალაქეებმა ავტომატური იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს ოპერატიული ჯგუფის წევრებს და მიიმალნენ, მაგრამ სოფ. ლესაში ისინი კვლავ გააჩერეს. ბოროტმოქმედებმა გამოიყენეს ხელყუმბარა და მიიმალნენ.

როგორც ლანჩხუთის შინაგან საქმეთა განყოფილების თანამშრომლებისათვის გახდა ცნობილი, აღნიშნული ავტომანქანა ეკუთვნის თბილისში არსებულ ფირმა „ჯორჯიას" და იგი 16 ოქტომბერს გაიტაცეს სამტრედიის რაიონის სოფელ ვაზისუბნიდან.

ბოროტმოქმედთა ვინაობა ჯერჯერობით დაუდგენელია. მიმდინარეობს ძიება.

წალენჯიხა. წალენჯიხის რაიონის ერთადერთ გაზეთ „ეგრისს" უსახსრობის გამო დახურვა ემუქრება. რედაქცია ვერ შოულობს ქაღალდს, სხვადასხვა მიზეზების გამო ქალაქს აგრეთვე არ მიეწოდება რესპუბლიკური გაზეთები.

პოზიცია

დავაზღვიოთ, რათა დაზღვეული ვიყოთ რისკისაგან

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ გაზეთ „იზვესტიაში" დაბეჭდილ ერთ ინფორმაციაში ლამის წუხილ-კრულვით მოიხსენიებოდა ერთი ახალგარდაცვლილი დასავლელი მულტიმილიონერი მრეწველი იმის გამო, რომ მას თურმე ოთახიდან გასვლისას ხუთი წუთითაც კი არასოდეს დაუტოვებია ანთებული ნათურა.

თუ რაოდენ ცივილიზებული და მაღალკულტურული პიროვნება ყოფილა იგი და როგორი არაცივილიზებულნი ჩვენ — მისი კრიტიკოსები, ალბათ, მტკიცებას არ საჭიროებს. არადა, საკუთრება იყო იმ განსვენებულის ცივილიზებულობისა და ეკონომიკური კულტურის საფუძველი.

საკუთრებით შექმნილი ცივილიზაცია ყოველთვის განაპირობებდა საზოგადოების საერთო ცივილიზებასა და კულტურას. რა თქმა უნდა, თუ საკუთრება მოპოვებული იყო შრომით, ჭკუით, სამართლიანობით, და არა მიტაცებით, მისაკუთრებით, ქურდობით, ყაჩაღობით, კორუფციით. როცა ქონება და სამართლიანობა ერთმანეთთან არის შერწყმული, სწორედ მაშინ არის საკუთრება არა მარტო მატერიალური, არამედ ზნეობრივი სიმდიდრეც.

საკუთრების ყველა ფორმა ერთობლივად სახალხო მეურნეობას ქმნის. იგი არის ადამიანთა საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური და ზნეობრივი არსებობის გარანტი. საკუთრების სამართლებრივი დაცვით, მოვლით, გაფრთხილებითა და გამრავლებით მთელი საზოგადოება უნდა იყოს დაინტერესებული.

ჩვენთან, საერთო-სახალხო საკუთრების რადიკალური რეფორმების პირობებში, საკუთრება ადამიანთა ფსიქიკაში აღიქმება, როგორც მხოლოდ კერძო, მხოლოდ პირადად მისი და უყურადღებოდ რჩება ის, თუ რა ფორმით და სოციალურ-ეკონომიკური შინაარსით არის მისი ეს საკუთრება.

ცნობილი ამერიკელი პროფესორი ვინსენტ ოსტრომი წერს: „კერძო საკუთრება ვერ მოსპო ვერც დიდმა მთავრობებმა, ვერც დიდმა კორპორაციამ. მან ახალი ფორმები შეიძინა. იგი უწინდებურად კერძოა იმ მხრივ, რომ არ ეკუთვნის სახელმწიფოს. მაგრამ აღარც ინდივიდუალურია და გახდა კორპორაციული, ინსტიტუციური და მმართველობითი".

ამჟამად უზარმაზარი ღირებულების ნაციონალიზებული საკუთრების განსახელმწიფოებრიობა პრივატიზაციის სასწორს ექვემდებარება. თითქოს მარტივია, რომ სახელმწიფო საკუთრებას თვითონ სახელმწიფო ანაწილებს საკუთრების სხვადასხვა ფორმებად, მას წინააღმდეგობის კლასობრივი ფორმა არ გააჩნია. მაგრამ სინამდვილეში იგი უფრო რთული განსახორციელებელია, ვიდრე 1917 წლის საკუთრების ნაციონალიზაცია იყო, რამაც თავის დროზე დიდი სოციალური და ზნეობრივი ნგრევა გამოიწვია და ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე კაცობრიობის დაპირისპირების მატერიალური და პოლიტიკური საფუძველი გახდა. იმ დროს ლენინი იძულებული გახდა ეთქვა: „სოციალიზმი ეს არის აღრიცხვა და კონტროლი". მაგრამ ვერავითარმა კონტროლმა საქმეს ვერ უშველა, მასობრივი გახდა დატაცება და ქურდობა. გაჩნდა პატიმარ ბავშვთა ლეგიონები, პატიმარ ბავშვთა პედაგოგიკა და მაკარენკო. სიღატაკე და უზნეობა ერთმანეთს ეჯიბრებოდა, რომ რაც შეიძლება მეტი მსხვერპლი ყოფილიყო. განვითარდა ქაოსი, თავად დრო გახდა დიქტატორი. დროის ეს დიქტატურა შესასრულებლად პიროვნებებში განივთდა, დეკრეტებით გაცხადდა. დეკრეტი ეკონომიკაში, დეკრეტი კანონებში, დეკრეტი სოციალურ სფეროში. შედეგი: „სამხედრო კომუნიზმი", „სასურსათო გაწერა", სამოქალაქო ომი. შემდგომ დიქტატურის შესარბილებლად „ნეპი" — ცდა უსახო და უპიროვნო საკუთრებისთვის კონკრეტული მესაკუთრის გამოძებნისა, ეკონომიკური პრინციპებით მართვისა. „ნეპის" პოლიტიკის უარყოფამ კვლავ დიქტატურა და მსხვერპლი გამოიწვია.

საკუთრება, როგორი ფორმისაც უნდა იყოს იგი, საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობების საფუძველია. იგი ვერ იტანს სოციალურ და სამართლებრივ სიცარიელეს. დღეს სახელმწიფო საკუთრება ეკონომიკურ, სოციალურ და სამართლებრივ უწონადობაში იმყოფება. მას ყველა ეპოტინება, ყველა ანიავებს, ძალიან ცოტა ფიქრობს მის გამრავლება-დაცვისათვის. ხალხი არავის უჩივლებს საერთო-სახალხო საკუთრების დატაცებისა და ძარცვისათვის, მაგრამ საზოგადოებაში ღრმავდება კონფლიქტი, უმართავი სიმდიდრე ეკონომიკური და ზნეობრივი გაღატაკების საშუალებად იქცა. ყველა ხედავს: მისაკუთრებამ, ძარცვამ და ქურდობამ დიდად გადააჭარბა წარმოებას.

საკუთრება, დაზღვევა, ეკონომიკური კულტურა

ასეთ პირობებში რთულია პრივატიზაციის სახელმწიფო სასწორის მართვა. იგი ისეთი ტრივიალური როდია, რომ აუქციონის ჩაქუჩმა ან მხოლოდ ვაუჩერიზაციამ გადაწყვიტოს. პრივატიზაციამ კერძო საკუთრებისადმი ისტორიულად გაუცხოებულ ხალხს სამართლებრივად, სოციალურად, ეკო- [illegible] ქარება ზოგს აიქარება ვგონია. აქ, ისე როგორც დაყოვნება, სტახანოვური დაჩქარებაც დამღუპველი იქნება, უფრო გაღრმავდება საზოგადოებაში სიღატაკე, უზნეობა. დეგრადირებულ საზოგადოებაში კი ყველა ღატაკია.

შექმნილ სიტუაციაში უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქცია. სახელმწიფომ უნდა მართოს მაკრო და მიკროეკონომიკური პრობლემები, გასაქანი არ უნდა მისცეს ეკონომიკურ სეპარატიზმს, რაც პოლიტიკურ და სოციალურ სეპარატიზმსაც კვებავს. რადიკალური რეფორმები, ამავე დროს ნიშნავს სახელმწიფოს რადიკალურ ღონისძიებათა როლის ამაღლებას.

ანარქიას თავი რომ დავაღწიოთ, სახელმწიფომ ახალშობილი ეკონომიკის მართვის სისტემაში ის როლი უნდა შეასრულოს, რასაც ასრულებს თიმუსი (ჩანგლისებური ჯირკვალი) ახალშობილის ზრდის, გარემოსადმი შეგუების იმუნალური უნარის გამომუშავებაში (თურმე, თიმუსი ახალშობილის წონის 0,5 პროცენტს შეადგენს, შემდგომ, ადამიანის ზრდის შესაბამისად, მისი წონითი შეფარდება 40 წლის ასაკში 100-ჯერ მცირდება).

დემოკრიტე ამბობდა: „ადამიანებმა ქონება რაც შეიძლება ადრე უნდა გაანაწილონ შვილებს შორის და ამავე დროს მეთვალყურეობა გაუწიონ მის სწორად გამოყენებას, რაც ხელზე აქვთ. ამ შემთხვევაში ისინი ხარჯვაში უფრო მომჭირნე გახდებიან, შოვნაში კი უფრო გულმოდგინე და ერთიმეორესაც შეეჯიბრებიან, რადგან საერთო მეურნეობაში არც ხარჯი გვაწუხებს ძალიან და არც მოგება გვახარებს დიდად".

რაკი „საერთო მეურნეობაში არც ხარჯი გვაწუხებდა ძალიან და არც მოგება გვახარებდა დიდად", ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე დაგროვილი წინააღმდეგობებით ელვისებურად დაინგრა მსოფლიოში ერთ-ერთი გიგანტური სახელმწიფო და მისი საერთო მეურნეობა დარჩა ერთიანი სახელმწიფოებრივი პატრონის გარეშე (დანგრევის იდეოლოგიას ხალხი, ეტყობა, თავის თავში ქვეცნობიერად დიდხანს ამზადებდა. ამიტომ დანგრევა უკრიტიკოდ მიიღო ხალხმა).

ყოფილი სსრ კავშირიდან სუვერენულ სახელმწიფოთა გამოყოფას და შექმნას წინ არ უძღოდა იმპერიული სახელმწიფოსგან რესპუბლიკათა განსახელმწიფოებრიობის ეტაპები, გარდამავალი პერიოდი.

რუსეთმა იკისრა სსრ კავშირის უფლებამონაცვლის მისია, რითაც მას უფრო დაუმძიმდა მდგომარეობა როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკაში. თუ მისი აშკარა პასუხისმგებლობა ასე გამოკვეთილად არ ჩანდა ყოფილ სსრ კავშირში, ამჟამად იგი ძალაუნებურად აგებს პასუხს საკუთარ და სხვის რეფორმებზე, საკუთარ და სხვის ვალებზე. ვალების ისტორიას, ალბათ, ცოტა ახსოვს, როცა საგარეო ვალი ასე მასშტაბურად გახდა საშინაო, და პირიქით. მაგალითად, სიცოცხლის გრძელვადიან დაზღვევაში სარეზერვო თანხები, რომლებიც ყოფილი სსრ კავშირის სახელმწიფო დაზღვევაში იყო აკუმულირებული, 1985 წელს 22 მილიარდი მანეთის ოდენობით გამოიყენეს სსრ კავშირის ბიუჯეტის დეფიციტის შესავსებად, საიდანაც 167,9 მილიონი მანეთი საქართველოს წილი იყო და ამჟამად აღირიცხება რუსეთის ფედერაციის ქონების სახელმწიფო კომიტეტში, როგორც საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ვალი.

ეგვიპტე რომ დიდი სიმაღლიდან დაეცა, ეს გასარკვევი არაა, მაგრამ მთავარი ამოცანაა გაირკვეს, თუ როგორ მიაღწია მან ამ სიმაღლეს (პ. დრუმინდი). მეცნიერის ამ სიტყვების პერიფრაზირებას თუ გავაკეთებთ, გასარკვევი ის კი არ არის, თუ რა სიმაღლიდან დაეცა გიგანტური სახელმწიფო, არამედ ის, თუ რამ განაპირობა ეს დაცემა. ამის გარკვევა კი საჭიროა ჩვენი რეფორმებისთვის, ეს საჭიროა ახალ სახელმწიფოთა პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი კავშირურთიერთობის განვითარებისთვის (სხვაგვარად მექანიკურად აღიქმება ეკონომიკური კავშირების აღდგენა).

რეფორმების განხორციელების სირთული ის არის, რომ თითოეული სუვერენული სახელმწიფოს ეკონომიკური რეფორმები (ერთ ეკონომიკურ სივრცეში შექმნილი ეკონომიკის) რაღაც ეტაპებზე, სინქრონულად უნდა მიმდინარეობდეს რუსეთისა და თანამეგობრობის სხვა ქვეყნების რეფორმებთან ერთად. ეს გადამწყვეტად საჭირო პირობა იქნება რეგულირებად საბაზრო ურთიერთობებზე გადასასვლელად.

(დასასრული მე-2 გვ.).

წაგვაკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"

წერილები, წერილები... უფრო მეტი—ტელეფონის ზარი და საყვედური

რედაქციის ბრძოლა გაზეთის ქაღალდისათვის, მუხლთა დრეკანი გამომცემლობა „სამშობლოში", მთავრობასა და ხელისუფლებაში, მთავრდება... მკითხველთა წერილებით და სამართლიანი საყვედურებით. ხვალ უფრო მეტი იქნება ერთიც და მეორეც. ეს საყვედურები მარტო რედაქციას არ ეკუთვნის.

დღეს ვაქვეყნებთ ზოგიერთ ბარათს წასაკითხად და ყურადსაღებად იმათთვის, ვისთვისაც სულერთი არ უნდა იყოს გამოვა თუ არა „საქართველოს რესპუბლიკა".

ეგებ გავაღწიოთ გვირაბის ბოლოს

პატივცემულო რედაქციავ! ამ ბარათით მოგმართავთ თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი. ცხადია, მკითხველი რომ ვარ, გაზეთიც მუდამ გამოწერილი მქონდა. რა თქმა უნდა, წლეულსაც გამოვიწერე, მაგრამ ყველაფერი აირია, ჩემს საყვარელ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას" ვეღარ ვიღებ. ვისაც ამბის გასაგებად და გასარკვევად მივაკითხე, ყველამ ერთხმად მიპასუხა — უქაღალდობის გამო გაზეთი არ გამოდისო.

ცხადია, მე ეს მჯერა და ძალიანაც მიკვირს, რა მოხდა, რატომ დაიქცა საქართველო, რატომ გამეფდა ანარქია, სად არის ხელისუფლება?

ამ სტრიქონებს ვწერ, მაგრამ იმედს მაინც არ ვკარგავ, ეგებ მოეგონ გონს ისინი, ვისაც ამ საქმის მოგვარება შეუძლია და იზრუნონ საგაზეთო ქაღალდით რესპუბლიკის მომარაგებისათვის. ვნახოთ, ცოტა კიდევ მოვითმინოთ, ეგებ გამოჩნდეს გვირაბის ბოლო.

დავით კორშელიძე. თბილისი.

მაფია ხომ არ უშლის ხელს?

ბატონო რედაქტორო! ძალიან სამწუხაროა, რომ გაზეთის მკითხველები ვერც ფოსტით ვღებულობთ თქვენ გაზეთს და კიოსკებშიც აღარ იყიდება, ხოლო ინტრიგანულ და ჭორიკანა გაზეთებს კი ყოველი ფეხის ნაბიჯზე დააფრიალებენ და ყიდიან, რითაც თავიანთი გავლენის ქვეშ აქცევენ მოქალაქეთა გარკვეულ ნაწილს.

ამასწინათ თქვენს რედაქციაში მოვედი გაზეთისათვის, შევხვდი რედაქციის მუშაკს, რომელმაც მომცა იმ დღის გაზეთი, მასვე ვთხოვე გადმოეცა თქვენთვის ჩვენი საუბრის შინაარსი.

ჩემში ძალიან დიდი კმაყოფილება გამოიწვია აღნიშნული გაზეთის ნომერში გამოქვეყნებულმა წერილმა „ძმისგან ჩაცემული მახვილი". იქნებ ამ წერილის შინაარსმა ზოგიერთ დეპუტატს მოახედოს რეალობისკენ. თუ კიდევ უფრო ფართოდ გააშუქებთ დამნაშავეთა ბოროტმოქმედებას, მკითხველთა აბსოლუტური უმრავლესობა მხარს დაგიჭერთ.

მებადება კითხვები — მაფია ხომ არ უშლის ხელს გაზეთის ქაღალდით უზრუნველყოფას? სხვა გაზეთები როგორ მარაგდებიან ქაღალდით?

ამირან გონაშვილი. თბილისი.

თქვენი შეწუხება გვიშველის?

განმეორებით გაწუხებთ, თუ კიდევ უყურადღებოდ დამტოვებთ, მაშინ პირადად გეახლებით. ამას ჩემი მძიმე ეკონომიკური პირობები მაიძულებს.

საქმე ის არის, რომ წლეულს, მაისში, ექვსი თვით გამოვიწერე გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა". რა თქმა უნდა, როგორც გაანგარიშებული ჰქონდა კავშირგაბმულობის სამინისტროს, ხელმომწერთა მიერ გადახდილი თანხით, ალბათ, შეიძინეს საკმარისი ქაღალდი. მაშინ გეკითხებით მე რატომ შემიწყვიტეს გაზეთი?

ერთი სიტყვით, უკვე ორი თვეა აღარ ვღებულობ გამოწერილ გაზეთს. ამ საკითხზე ვისაც მივმართე, გულთან არავის მიუტანია.

ახლა კატეგორიულად მოვითხოვ, მოწესრიგდეს ჩემი გამოწერილი გაზეთის ნორმალური მიღება...

გიორგი ჩეინკლიშვილი. შრომის ვეტერანი, პენსიონერი, თბილისი.

გთხოვთ მოაგვაროთ ეს საქმე!

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" დაარსებიდან აქტიური მკითხველი ვარ და სისტემატურად ვიწერდი. გაზეთი 1994 წლის პირველ ნახევარშიც მქონდა გამოწერილი, ხოლო სხვადასხვა მიზეზების გამო მეორე ნახევარში ვერ გავაგრძელე გამოწერა. პირველი ოქტომბრიდან კი კვლავ გამოვიწერე.

3 ოქტომბერს მივაკითხე ფოსტას, მინდოდა გამეგო მდგომარეობა, გაზეთი მომივიდოდა თუ არა. ცენტრალური ფოსტის ხელმძღვანელობამ პირდაპირ განმიცხადა, გაზეთს ვერ მიიღებ, რადგან თბილისიდან გაზეთებს ვღებულობთ ძალიან ცოტა რაოდენობით და ამიტომ თქვენს თხოვნას ვერ დავაკმაყოფილებთო. მისწერეთ წერილი გაზეთის რედაქციას, ისინი უფრო გადაწყვეტენ საქმეს, მე არაფერი არ შემიძლიაო, ან ხელმოწერის თანხას დაგიბრუნებენ ან გაზეთებს გამოგიგზავნიანო.

მე ვერ გამიგია, თუკი გაზეთი არ იქნებოდა, ხელმოწერა რატომ გააფორმეს?

ძალიან გთხოვთ ჩაერთოთ ამ საქმის დადებითად მოგვარებაში, გაარკვიოთ, ბატონებო, ვისი და რისი ბრალია, რომ უქაღალდობის გამო გაზეთს ვერ ვღებულობთ!

მიხეილ ქორიძე. თბილისი.

დავაზღვიოთ, რათა დაზღვეული ვიყოთ რისკისაგან

(დასასრული)

სახელმწიფო რეფორმების ინტეგრაცია, საშინაო და საერთაშორისო სამართლებრივ სფეროში მოქცევა, ეკონომიკური და პოლიტიკური სეპარატიზმის, კრიმინოგენული სიტუაციების წინააღმდეგ ბრძოლის ერთ-ერთი საფუძველიც იქნება. სხვა შემთხვევაში იმაზე უფრო სქელი რკინის ფარდები უნდა ჩამოვუშვათ, ვიდრე სსრ კავშირს ჰქონდა. ეს კი შეუძლებელია და უაზრობაა. იმპერიის დამხობა ხალხთა ურთიერთობის დამხობას კი არ ნიშნავს, არამედ მის გაუმჯობესებას, ბუნებრივი ურთიერთობების დამყარებას, ფეოდალური ალტრუიზმის დაძლევას, ეროვნული, ეთნიკური და სახელმწიფოთა შორის კონფლიქტების აღმოფხვრას. არ შეიძლება წყალს გავატანოთ ყოველივე ის, რითაც ხალხები ერთმანეთთან იყო დაახლოებული.

ალბათ, არც პოლიტიკა, არც სამართალი, არც პოლიტიკური ეკონომია არ დასჭირდებოდა საზოგადოებას, საკუთრება რომ არ ყოფილიყო. „არასოდეს არ ყოფილა ისეთი საზოგადოება, სადაც საკუთრება არ იყო“ (მარქსი).

ნობელის პრემიის ლაურეატს ელიას კანეტს აქვს ასეთი ფრაზა: „მისი ერთი ნაწილი ძველია, მეორე ნაწილი კი ჯერ არ დაბადებულა“. საკუთრებაზე შეიძლება ვთქვათ: „მისი ერთი ნაწილი ძველია, მისი მეორე ნაწილი კი ჯერ არ დაბადებულა“. სწორედ ეკონომიკურმა რეფორმებმა უნდა გააკეთოს ის, რომ საკუთრების ერთი ნაწილი ისე არ განადგურდეს, რომ ხელი შეუშალოს მეორე ნაწილის დაბადებას, ე. ი. ეკონომიკურ განვითარებას. საერთო-სახალხო საკუთრების რეფორმამ საკუთრება ბოროტების წყაროდ არ უნდა აქციოს.

რეფორმების ისტორიაში ყველაზე რთული იყო და არის საკუთრების რეფორმა. საკუთრების ფენომენი პარადოქსულ გაგებებსაც იწვევს.

მეცხრამეტე საუკუნის პოლიტიკურ-მეცნიერულ ცაზე ჭექა-ქუხილი გამოიწვია ჟოზეფ პრუდონის სიტყვებმა: „საკუთრება — ეს არის ქურდობა“.

ლ. ტოლსტოის მეუღლე სოფია ანდრიას ასული იგონებს:

«Раз Лев Николаевич позвал меня к себе в кабинет и просил взять в полную собственность все его имущество, включая и авторское право. Я спросила, зачем это нужно, раз мы близки друг к другу и дети у нас общие. Он ответил, что считает собственность злом и не хочет его иметь». (Журнал — «Начала», Петербург, 1921 г. ст. 158).

საკუთრებისადმი ლ. ტოლსტოის ეს პროტესტი ქრონოლოგიურად ემთხვევა რუსეთის 1891 წლის დიდ შიმშილობას, რომელმაც მოიცვა 19 გუბერნია 30 მილიონი ადამიანით და 656 ათასი კაცის სიცოცხლე შეიწირა. რუსეთში კი ამ დროისათვის ვალების დასაფარავად ინტენსიურად გაჰქონდა ხორბალი უცხოეთში. დიდმა მწერალმა და მესაკუთრემ, ასეთ ვითარებაში ზნეობრივად რომ ეხსნა თავი, 200 სასადილო გახსნა დამშეული ბავშვებისთვის.

სიღარიბის გამო კანონით არ ისჯება ადამიანი. სიღარიბე თვითონ სასჯელია. ღარიბები რომ არიან, ეს მდიდრების ბრალი არც არის და კიდეც არის. ღარიბთა რაოდენობის ზრდა სახელმწიფოში სოციალური და ეკონომიკური ცხოვრების ცუდი ორგანიზაციის შედეგია. ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა რეფორმებმა სწორედ ეს საკითხი უნდა დაარეგულიროს. ეკონომიკური რეფორმები ამას მაშინ შეძლებენ, თუ მათი შემუშავება და განხორციელება მხოლოდ მცირედთა ინტერესებს არ მოემსახურება; როცა რეფორმები პოლიტიკური გამჭვირვალობითა და სახელმწიფოებრივი წესრიგით იქნება გაანგარიშებული და განხორციელებული, მათ კორუფციისა და პროტექციონიზმის კოროზია ვერაფერს დააკლებს.

სახალხო მეურნეობა მთლიანად, საკუთრების ფორმების სისტემა, ადამიანთა ინტერესების გაერთიანების საშუალება უნდა გახდეს. საკუთრება არა მარტო კანონით, არამედ იმ გაუთვალისწინებელი სტიქიური და სხვა მოვლენებისგანაც უნდა იყოს დაცული, რომელთა წინასწარი განჭვრეტა და გათვალისწინება შეუძლებელია. ეს დაზღვევამ უნდა გააკეთოს.

დაზღვევა არის ფინანსური გარიგება (ოპერაცია) ერთმანეთისათვის სრულიად უცნობ ცალკეულ მოქალაქეთა, მეურნეთა მონაწილეობით, რომელიმე მათგანისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად, რომლის წინასწარ გათვალისწინება, განჭვრეტა შეუძლებელია. იგი მართლაც „ადამიანთა აზროვნების გამარჯვებაა უხეშ ძალებზე, მოაზროვნე ლოგიკის გამარჯვებაა უაზროდ შექმნილ გარემოებაზე, რომელთანაც გვიხდება ბრძოლა“ (კოლერი).

საერთო საკუთრებაზე დაფუძნებულ ყოფილ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში სადაზღვევო რეზერვები ძირითადად იქმნებოდა ტოტალური მეურნეობრიობის გეგმების პრინციპებით. სახელმწიფო ნაკლებად იყო დაინტერესებული დაზღვევის ეკონომიკის განვითარებით, სადაზღვევო რეზერვები ხშირად სხვა დანიშნულებით გამოიყენებოდა.

მეცნიერულად არ მუშავდებოდა დაზღვევის ეკონომიკის თეორიული პრობლემები. მას არც კი ენიჭებოდა რაიმე მნიშვნელობა, რადგან დაზღვევის გატარების პოლიტიკასა და დაზღვევის ეკონომიკის მეცნიერულ საგანს შორის დიამეტრული განსხვავება იყო. ყოფილი სსრ კავშირის მთელს ტერიტორიაზე არ იყო დაზღვევის ეკონომიკის ინსტიტუტი, სპეციალობა. ყველაფერი ამოიწურებოდა ეკონომიკურ ფაკულტეტებზე 4-5 საათიანი ლექციების კურსით (თუ შეიძლება მას კურსი ეწოდოს). ეკონომიკურ საკითხებზე დაცულ სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაციებში დაზღვევის ეკონომიკის მნიშვნელობას არავინ აქცევდა ყურადღებას. ყოველივე ამან შექმნა კრიზისი დაზღვევის სწავლებაში, სპეციალისტთა და მეცნიერ ეკონომისტთა მომზადებაში. არ არიან დაზღვევის სპეციალისტები, რაც ასე დიდად სჭირდება სახალხო მეურნეობას, დაზღვევის ეკონომიკის განვითარებას.

სამი საუკუნეა, რაც ითქვა „თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გასტანჯავს წუთისოფელი“, მაგრამ დღეს, სამწუხაროდ, უცოდინართ თვითონ არაფერი უშავდებათ, თუმცა, თავად განსჯიან წუთისოფელს, აფუჭებენ საქმეს, ატყუებენ საზოგადოებას. მარტო გამდიდრების დიდი სურვილი და საქმის უცოდინრობა ყოველთვის იწვევს ცრუ გამბედაობას, ამიტომ არის, რომ ჩვენთანაც და რუსეთშიც ყველას, ვისაც კი ბანკნოტების ცნობა შეუძლია, სურვილი აქვს შექმნას კერძო სადაზღვევო ფირმა, მძიმე ეკონომიკური გარემოს და რისკის ერაში ცხოვრებას კი არავინ ითვალისწინებს, რასაც დიდი ეკონომიკური ზარალი მოსდევს, ზარალის დაფარვა კი მცირე ძალით შეუძლებელია. ბოლო ორ წელიწადში რუსეთში დიდი ხმაურით შექმნილი 450-ზე მეტი სადაზღვევო კომპანია და ფირმა ჩუმად დაიშალა და გაუჩინარდა.

მთავრობამ ერთ უარყოფით ტენდენციას უნდა მიაქციოს, ალბათ, ყურადღება: რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და ქალაქში ცალკეული პიროვნებები მიკრომასშტაბების ლიცენზიებით ქმნიან კერძო სადაზღვევო ფირმებს, რომლებიც ერთობლივი დაზღვევის მოტივით თავშესაფარად წინასწარ ეძებენ უცხოურ სადაზღვევო კომპანიებს.

საბაზრო ეკონომიკისთვის ჩვენი ეკონომიკა ყამირია და ბევრი უცხოური სადაზღვევო კომპანია დიდი ხალისით შემოვა, რათა ინტენსიურად გაიტანოს ჩვენგან კაპიტალი. ეს ხელს შეუშლის შიგასადაზღვევო არეალის განვითარებას, შეამცირებს ქვეყნის მთლიან სავალუტო ფონდს.

ზოგჯერ ვემსგავსებით ერთი იმ კუნძულის განუვითარებელ ხალხს, რომელსაც ცნობილმა ზღვაოსანმა კუკმა ლურსმნები დაურიგა. მათ კი ლურსმნები დარგეს იმ იმედით, რომ ისინი უფრო დიდი გაიზრდებოდნენ. ჩვენ ლურსმნები კი არ უნდა დავრგოთ, არამედ, თუ ვინმე რამეს გაიმეტებს, ის გამოვიყენოთ საკუთარი ეკონომიკის განვითარებისათვის, საბაზრო ეკონომიკის საჭირო ეკონომიკურ შენადნობად უნდა ვაქციოთ, მაგრამ მას გაანგარიშება, გათვლა, საკუთარი ქვეყნის ინტერესით ცხოვრება სჭირდება.

რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევა (იგი ეროვნული დაზღვევის ხერხემალია) გარდაიქმნა ორგანიზაციულად, ეკონომიკურად. დიდი სიძნელეების მიუხედავად, ყველა რაიონსა და ქალაქში შენარჩუნებულია და წარმატებითაც მუშაობენ სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაციები. მთლიანად სისტემაში 2000-ზე მეტი კაცია დასაქმებული, დაკომპლექტებულია შედარებით გამოცდილი, კვალიფიციური და განვითარებული კადრებით.

სახელმწიფო დაზღვევა ასრულებს და შემდგომშიც უფრო წარმატებით შეასრულებს მაკროეკონომიკურ როლს ქვეყანაში სადაზღვევო ბაზრის განვითარებისათვის. სიძნელეების მიუხედავად, რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაციები არსად გაქცეულან, კვლავაც უფრო ეფექტიანად მოემსახურებიან ხალხს, სახალხო მეურნეობას.

ვფიქრობ, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ დაზღვევაში დემონოპოლიზაციას. და არა მარტო დაზღვევაში. სიფრთხილე ნაკარნახევია იმ აუცილებლობით, რაც განპირობებულია რესპუბლიკაში სადაზღვევო რისკის განსაკუთრებული სიმწვავით, სიხშირით, მასშტაბებით, ეკოლოგიური რისკის გაღრმავებითა და გაძლიერებით. ბოლო ნახევარი საუკუნის მანძილზე, მცირე სიძლიერის გარდა, საქართველოს ტერიტორიაზე 20-ზე მეტი 7-9 ბალის მიწისძვრა მოხდა, რომ არაფერი ვთქვათ 1991-1992 წლების მიწისძვრებზე, რომლებმაც 500 კვადრატულ კილომეტრზე მეტი ტერიტორია მოიცვა. ან კი ვინ მოთვლის აჭარაში, სვანეთსა და სხვა რეგიონებში დიდმასშტაბიანი მეწყრით გამოწვეულ ზარალს? ინტენსიური მიწათმოქმედების შედეგად უკონტროლოდ მიმდინარეობს ნიადაგის ექსპლუატაცია და შესაბამისად საქმე გვაქვს ეროზიისა და სხვა მოვლენების გაძლიერებასთან, რაც კიდევ უფრო აღრმავებს ბუნებრივ და ეკონომიკურ რისკს სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში.

რეფორმატორებმა ასეთ ვითარებაში დაზღვევის დემონოპოლიზაცია არ უნდა გააიგივონ მის უმისამართო დემონტაჟთან (გარკვეული აზრით, სახელმწიფო დაზღვევა დემონოპოლიზებულია, როცა ის გამოეყო სსრ კავშირის დაზღვევას). უნდა განვამტკიცოთ ეროვნული დაზღვევა. რომელიც, თავის მხრივ, მთლიანად საკუთრების ყველა ფორმის მიხედვით სადაზღვევო ბაზრის განვითარების ეკონომიკური და ორგანიზაციული საფუძველი და გარანტი იქნება (რაკი თავის ტვინს მონოპოლიური მდგომარეობა უკავია აზროვნების გამომუშავებაში, ამის გამო არც ერთი ნორმალური ადამიანი არ იფიქრებს მოახდინოს მისი დემონოპოლიზაცია და ზურგისა და ძვლის ტვინს გადააკისროს აზროვნების ფუნქცია).

როგორც აღვნიშნეთ, ნაციონალიზებული საკუთრების ბატონობის გამო ხალხი სადაზღვევო კულტურის განუვითარებლად დარჩა. არა მარტო ხალხი, არამედ მმართველობითი ორგანოები, მინისტრები, უწყებები, ფერმერები, ბევრი ბიზნესმენიც ინდიფერენტულად ექცევა დაზღვევას. იმის შიშით, რომ ბიუჯეტის დეფიციტი ან სამეურნეო ხარჯები არ გაიზარდოს, არ ითვალისწინებენ დაზღვევის ხარჯებს. ჯანმრთელობის, განათლების, კულტურის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ტრილიონობით ღირებული ძირითადი ფონდები უმნიშვნელო სადაზღვევო ხარჯების მომჭირნეობის გამო დაუზღვევლად არის დარჩენილი.

დიდი ადამ სმიტი ორი საუკუნის წინათ გვაფრთხილებდა: „დაუზღვევლობა როდია ზედმიწევნითი ანგარიშის შედეგი, არამედ წარმოდგება უგუნური წინდაუხედაობითა და ხიფათის უზომოდ აბუჩად აგდებით“.

ამჟამად, როცა კაცობრიობა მთლიანად შევიდა რისკის ერაში და როცა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ეკოლოგიური ეთიკის აუცილებელი დაცვის დროც დადგა და „ხიფათმა“ გლობალური მასშტაბები მიიღო, დაუზღვევლობა ველურად დარჩენის ნიშნავს.

თუმცა, ბუნებაში ველურ სულიერთაგან არაფერია დარჩენილი ისე, რომ რაიმე ბუნებრივი სადაზღვევო გარანტიები არ ჰქონდეს: კუ დაატარებს იმხელა ხობოკვერას, ლოკოკინას ნიჟარა აქვს, ლომი თავისი ბუნებრივი ბინადრობის ტერიტორიაზე ხორცის მჭამელ ნადირს არ აჭაჭანებს, საჰარაში ცრუ მორიელის 16 სახეობა არსებობს, რომლებსაც შხამი არა აქვთ, მაგრამ გარეგნულად შიშს ჰგვრიან ყველას. ასეთი აპოსემატიურობა (დაშინება) კი მათი დაზღვევაა ბუნებისაგან.

ასეთ დროს საჭიროა ამაღლდეს სახელმწიფოს ეკონომიკური სიფხიზლე დაზღვევის ეკონომიკის განვითარებისთვის, გასაქანი არ უნდა მიეცეს ეკონომიკურ სეპარატიზმს, ვოლუნტარიზმს. ეკონომიკური სეპარატიზმი არ უნდა მივიჩნიოთ რეფორმად და არც რეფორმები — მთავრობის წევრთა სუბიექტურ შესაძლებლობათა და განწყობათა განსაკუთრებულ ჟინად.

საბჭოური სახელმწიფო დაზღვევა სსრ კავშირის საერთო ეკონომიკურ ჩარჩოებში ყალიბდებოდა და ფუნქციონირებდა. მისთვის დამახასიათებელი იყო ყველა ის თავისებურება, რაც ახასიათებდა სოციალისტურ ეკონომიკას, როგორც შექმნის, ისე, გამოყენების თვალსაზრისით. მაგრამ სსრ კავშირის ერთიან სადაზღვევო სისტემას ერთი უპირატესობა მაინც ჰქონდა, იგი არ საჭიროებდა ხელახლა დაზღვევის აუცილებლობას, რაკი დიდ ეკონომიკურ და ტერიტორიულ სივრცეში დაზღვევის მონოპოლიური განვითარება თავისთავად გულისხმობდა გადაზღვევის ეკონომიკურ გარანტიებსაც.

სვანეთში, აჭარაში, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მომხდარი სტიქიური უბედურებების შედეგად გამოწვეული ზარალის სადაზღვევო ანაზღაურების დიდი ნაწილი, ნაზღაურდებოდა საკავშირო სადაზღვევო რეზერვებიდანაც.

საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის გამგეობამ, ითვალისწინებდა რა საბაზრო ეკონომიკის განვითარების მოთხოვნებს, აგრეთვე ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის გამო ბუნებრივი რისკის ზრდის მდგომარეობას, რესპუბლიკაში მტკიცე სადაზღვევო გარანტიების შექმნის უზრუნველსაყოფად მონაწილეობა მიიღო ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფო დაზღვევის ხელმძღვანელებს შორის 1993 წლის 25 თებერვალს მოსკოვის ოლქის ქალაქ დოლგოპრუდნიში დადებულ შეთანხმებაში, რომლის ტექსტი გამოქვეყნდა ჟურნალ „ფინანსის“ მეოთხე და გაზეთ „სვობოდნაია გრუზიას“ 1993 წლის 2 სექტემბრის ნომრებში.

ოთხი წლის გაჭიანურების შემდეგ სახელმწიფო დაზღვევის გამგეობის წინადადებით მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილებები „სახელმწიფო საწარმოების, გაერთიანებებისა და ორგანიზაციების ქონების სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შემოღების შესახებ“ (1994 წ. 16 მარტი, № 154) და „საწარმოებისა და ორგანიზაციების (ბიუჯეტზე მყოფთა გარდა) ხარჯზე საწარმოო უბედური შემთხვევებისაგან მუშა-მოსამსახურეთა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შესახებ“ (1993 წ. 25 დეკემბერი, № 941).

ორივე ეს დადგენილება მნიშვნელოვანი ეტაპია ეკონომიკური რეფორმების სისტემაში გარდამავალი პერიოდის სირთულეების გათვალისწინებით მშრომელი ადამიანის, აგრეთვე სტიქიური და სხვა გაუთვალისწინებელი მოვლენების შედეგად გამოწვეული ზარალის გარანტირებული სადაზღვევო დაცვის უზრუნველყოფისათვის.

ეჭვგარეშეა, რომ ადგილობრივი მმართველობის ორგანოები, სამინისტროები და უწყებები, საწარმოები და ორგანიზაციები ამ დადგენილებათა განხორციელებაში ხელს შეუწყობენ რაიონებისა და ქალაქების სახელმწიფო დაზღვევის ორგანიზაციებს. ამ მიმართულებით განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ქუთაისის, ზუგდიდის, სამტრედიის, თერჯოლის, თელავის, სიღნაღის, მარტვილის, თბილისის რიგი რაიონების ხელმძღვანელობის განსაკუთრებული ყურადღება და მხარდაჭერა სახელმწიფო დაზღვევის განვითარების საქმეში. მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილობრივი მმართველობის ორგანოები ყველგან როდი ინტერესდებიან თავიანთ რაიონებსა და ქალაქებში დაზღვევის განვითარებით.

ბუნებრივი და ეკონომიკური რისკის პერმანენტული ზრდის, ეკოლოგიური საშიშროების გაღრმავების, აგრეთვე გარდამავალ პერიოდში, როცა საკუთრების ფორმათა ჩამოყალიბება-განვითარების პროცესი მიმდინარეობს, როცა დაბალია მოქალაქეთა, მეურნეთა, ასევე, მართვის ორგანოების ეკონომიკური და სადაზღვევო კულტურა, აუცილებლობას წარმოადგენს, რომ მთლიანად საზოგადოებისა და სახალხო მეურნეობის ეკონომიკური ინტერესების დაცვისათვის სახელმწიფომ, საკუთრების ფორმის მიუხედავად, კანონით დაადგინოს ქონების ღირებულების გარკვეული ნაწილის (50-60 პროცენტი) სავალდებულო წესით დაზღვევა. ასეთი წესი, ასპროცენტიანი სადაზღვევო მოცვის გამო, არა მარტო სრულ გარანტიას აძლევს დაზღვევას აღებული სადაზღვევო რისკის ფინანსური უზრუნველყოფისათვის, არამედ იგი დამაზღვევლებისთვისაც უფრო იაფი და ხელმისაწვდომია.

უნდა განისაზღვროს სახელმწიფო პოლიტიკა სავალდებულო დაზღვევის სფეროში. იგი საჭიროა არა მარტო ქონების, არამედ სამოქალაქო პასუხისმგებლობის, სიცოცხლის, სამედიცინო დაზღვევის სახეებში (ზოგჯერ ვცდილობთ მექანიკურად მივბაძოთ უცხოეთში დამკვიდრებული მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკის მქონე დაზღვევის ორგანიზაციას და არ ვითვალისწინებთ ჩვენი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს, ფსიქოლოგიური განწყობის მომენტებს, ათეული წლების განმავლობაში საკუთრებისადმი მათი გაუცხოების, პირობითი სამეურნეო რეფლექსების დაქვეითების სინამდვილეს. ეს პრობლემები კი არა მარტო დაზღვევაში, ეკონომიკის სხვა სფეროშიც გვაქვს).

სახელმწიფოს მეთაურმა საგადასახადო ინსპექციის მუშაკთა აქტივის კრებაზე განაცხადა, რომ: „ხალხი უნდა მიეჩვიოს გადასახადების გადახდას“. ვფიქრობთ, საჭიროა ხალხი მიეჩვიოს აგრეთვე დაზღვევას და სადაზღვევო გადასახდელების გადახდასაც. ორივე ამ პროცესს კანონით განმტკიცება სჭირდება.

გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური და ორგანიზაციული სირთულეების დაძლევისათვის, აგრეთვე ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან, რომლებსაც ერთმანეთთან ერთი ეკონომიკური კლიმატითა და გარემოთი შექმნილი პოტენცია აკავშირებთ, სოლიდური სადაზღვევო ურთიერთობის დასამყარებლად საჭირო იქნება სახელმწიფო დაზღვევის ეკონომიკის გეგმაზომიერი (ნუ შეგვაშინებს სიტყვა „გეგმაზომიერი“) და შეუფერხებელი განვითარების უზრუნველსაყოფად სახალხო მეურნეობისა და სოციალური ცხოვრების გარკვეულ სფეროში დაზღვევის სავალდებულო წესის კანონით დადგენა. იმპერატიულობა, სამართლებრივი ნორმებით ამის დადგენა არ ეწინააღმდეგება მოქალაქეთა და მეურნეობათა დემოკრატიულ უფლებებს. ამ მხრივ საინტერესოა ცნობილი პროფესორის მ. პერგამენტის მიერ ჯერ კიდევ 1922 წელს გამოთქმული მოსაზრება: „არც ეკონომიკური, არც იურიდიული თვალსაზრისით სავალდებულო დაზღვევის იდეა არ წარმოადგენს რაიმე ირაციონალურს ან მავნეს... სავალდებულო დაზღვევა არ შეიცავს ძალდატანებას, მასში არ არის იძულება, რომელიც ბრმად თრგუნავს სამეურნეო დამოკიდებულებას... დაზღვევის მოვალეობა სხვა არაფერია იმაზე მეტი, თუ არა ბუნებრივი შედეგი იმ სოციალური საწყისებისა, რომელიც ჩადებულია თვით დაზღვევის, უპირატესად სოციალური ინსტიტუტის ბუნებაში“ („ვესტნიკ გოსუდარსტვენნოგო სტრახოვანია“. 1922 წ. № 2, გვ. 8). ამ მოსაზრების სათანადო კანონებით რეალიზაცია დღეს ისე გვჭირდება, როგორც არასდროს. ცივილისტიკამ, ცივილისტმა მეცნიერებმა და პრაქტიკოსებმა, ალბათ, ამაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება, იუსტიციის სამინისტრო და კანონშემოქმედებითი ორგანოები ამ საკითხებს, ვფიქრობ, ყურადღებით მოეკიდებიან.

მეცნიერულად დასაბუთებულია, რომ მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში კაცობრიობა შევიდა რისკის ერაში, იგი დგას ცივილიზაციის თვითგანადგურების გლობალური და მზარდი საშიშროების წინაშე, რაც თავის მხრივ აუცილებელ პირობად აყენებს გლობალური, საერთაშორისო სადაზღვევო დაცვისათვის სახელმწიფოთა სადაზღვევო ფონდის ინტეგრირებას. ეს მით უფრო აუცილებელია ახლა, როცა ეკოლოგიურმა საშიშროებამ დიდი მასშტაბები მიიღო. სხვათა შორის, ცნობილი ამერიკელი მეცნიერები ლესტერ ბრაუნი, ხრიცეფარ ფლეივანი და სანდრა პოუსტოლი გამოკვლევაში „მსოფლიო საფრთხეშია“ წერდნენ: „დაისახა აგრეთვე დაახლოება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. საბჭოთა კავშირმა წინადადება წამოაყენა გააძლიერონ საერთაშორისო ორგანიზაციები, რათა ხელი შეეწყოს გლობალური პრობლემების გადაჭრას. მიმართა რა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) გენერალურ ასამბლეას 1988 წლის სექტემბერში, სსრ კავშირის მაშინდელმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა: „ბიოპოლარული მსოფლიოს გამყოფი საზღვრები იშლება. ბიოსფერო არ ცნობს დაყოფას ბლოკებად, კავშირებად ან სისტემებად. ყველაფერი ეკუთვნის ერთ კლიმატურ სისტემას“.

სწორედ იმიტომ, რომ „ყველა ეკუთვნის ერთ კლიმატურ სისტემას“, რისკის ერაში ცხოვრების ერთიან პირობებს, ასეთ დროს არა მარტო მსოფლიო ბანკია საკმარისი, არამედ საჭირო იქნება მსოფლიო სადაზღვევო ფონდის შექმნა და ამ საქმეში სახელმწიფოთა აუცილებელი გაერთიანებაც.

განსაკუთრებით ამ პროცესის დაჩქარებაა საჭირო ყოფილი მოკავშირე რესპუბლიკების სახელმწიფოთა შორის. ეს იმიტომაც არის საჭირო, რომ ყველა ამ რესპუბლიკაში განაპირა მხარეების ეკონომიკური აღორძინების პოლიტიკის საბაბით, სტრატეგიული დანიშნულებით იქმნებოდა ეკონომიკური პოტენციალი, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მიმდინარეობდა ხელოვნური ურბანიზაცია. როცა დაიკარგა ერთობლივი ეკონომიკური სივრცე, წარღვნის მომასწავებელ ძალად გადაიქცა ურბანიზირების გავლილი პროცესი, რაც გვიქადის სტიქიური დეურბანიზაციის დაწყების საშიშროებას (იგი უკვე დაწყებულია, თუმცა მის მასშტაბებს და გამოვლინების ფორმებს ჯერჯერობით ვერ ვამჩნევთ).

საცხოვრის არეშეზღუდული, ხელოვნურად ურბანიზებული ქალაქები, როცა ისინი ამოვარდნენ ერთიანი ეკონომიკური სივრციდან, დიდი ეკოლოგიური და ეკონომიკური დატვირთვების გამო საშიშროებას ქმნიან ცხოვრებისათვის. ამის დასტურად საქართველოს მაგალითიც საკმარისია: 1923 წელს საქართველოში მოსახლეობა სულ შეადგენდა (ყველა ერი და ხალხი) 2439,4 ათასს, თბილისში ამ დროისათვის ცხოვრობდა 238,5 ათასი კაცი. დღეს არსებობს ხუთნახევარ მილიონიანი რესპუბლიკა მილიონნახევრიანი დედაქალაქით. რაც ქვეყანაში მოსახლეობის თითქმის 70 პროცენტი ურბანიზებულია, [illegible] მაშინდელი ეკონომიკური სივრციდან მისი ამოვარდნა რამდენი გაუთვალისწინებელი სტიქიური და სოციალური უბედურების გამომწვევ პოტენციას მოიცავს. სხვა რომ არაფერი, მიწისქვეშა კომუნიკაციების მოუვლელობა და მისგან გამოწვეული ავარიები დიდ ზიანს მოუტანს მიწისზედა ობიექტებსაც, რომ არაფერი ვთქვათ, ჯანმრთელობის რისკის ფაქტორების წარმოუდგენელ ზრდაზე. ყველა პროცესი იწვევს სადაზღვევო რისკის ზრდასაც.

არა მარტო ურბანიზების მასშტაბები, არამედ თვით სახალხო მეურნეობის არსებული სპეციალიზაციის, მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში მექანიკური დემონტაჟი ხელს შეუშლის ყოველგვარი რეფორმების განხორციელებას. რეფორმებს ხშირად ადამიანთა უცოდინარობა კი არ აფერხებს, არამედ ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ეკონომიკური რეფორმების განხორციელების მაკოორდინირებელი, ორგანიზაციული სტრუქტურის არარსებობაც. ასეთ მაკოორდინირებელ სტრუქტურას ვალუტათა შეჯვარების ფორმები ვერ შეცვლის, რეფორმები უნდა გამოდიოდეს იმ ეკონომიკური გენიდან, საიდანაც წარმოიშვა თვით სარეფორმო ეკონომიკა. საბჭოთა კავშირის დაშლის დროს მოკავშირე რესპუბლიკებმა თითქოს ეიფორიულად გამოგლიჯეს ერთმანეთს თავი, ცოტამ იფიქრა იმაზე, რომ აუცილებლად მოხდებოდა კრიზისული პროცესების თავისთავადი ინტეგრირება, ამიტომაც არის, რომ ახლა ყველა რესპუბლიკაში კატასტროფულად ეცემა წარმოების ტემპი და, შესაბამისად, ადამიანთა ცხოვრების დონე, ღრმავდება წინააღმდეგობა საზოგადოების შიგნით, ნოყიერ საკვებს იღებს პოლიტიკანობა და ყოველგვარი სეპარატიზმი.

შექმნილი საშინაო და საგარეო სიტუაციები, ბუნებრივი და ეკონომიკური რისკის ზრდა გარდუვალად აყენებენ სადაზღვევო ფონდების შექმნის აუცილებლობას, მის დაჩქარებას, სახელმწიფოს ზრუნვას დაზღვევის მაკროეკონომიკის განვითარებისათვის, ეს კი არა მარტო რეფორმების, არამედ ამჟამად არსებული ეკონომიკის გადარჩენის სერიოზული პრობლემაც არის.

დაზღვევის შესახებ კანონი, რომელსაც პარლამენტი მიიღებს, აუცილებლად უნდა შეესაბამებოდეს იმ არაორდინარული პრობლემების გადაწყვეტას, რომელთა წინაშე დგას დღეს ქვეყნის ეკონომიკა, არაორდინარული პირობები კი თვით რეფორმების არაორდინარულობას განსაზღვრავენ. დაზღვევის შესახებ კანონის პროექტი ოთხი წლის განმავლობაში მეხუთედ წარვადგინეთ პარლამენტში განსახილველად. კანონის პროექტზე ამჟამად ინტენსიურად მუშაობენ შესაბამისი კომისიები, სამინისტროები და უწყებები. დროის თავისებურებებს ყოველდღიურად შეაქვს ცვლილებები ეკონომიკურ ცხოვრებაში, ამიტომ სახელმწიფო დაზღვევის კომპანიის გამგეობაც ინტენსიურად მუშაობს თავისივე მომზადებულ პროექტში საჭირო ცვლილებების შესატანად. ვფიქრობთ, დაზღვევის შესახებ კანონის განხილვა და მიღება არ მოექცევა ეკონომიკური სეპარატიზმისა და პროტექციონიზმის გავლენის ქვეშ და ობიექტურად დაიცავს სამართლებრივი გარანტიების მოთხოვნებს.

დარწმუნებული ვართ, რომ „ხიფათს აბუჩად არ აიგდებს“ არც მოქალაქე, არც მეურნე, არც მინისტრი და, რა თქმა უნდა, არც კანონი, და დაზღვევის ეკონომიკას ქვეყანაში მიეცემა საყოველთაო განვითარება და აღიარება.

რევაზ ფაჩულია,
საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის გენერალური დირექტორი.

საქართველოსა და კანადას შორის ურთიერთობა უფრო აქტიური გახდება

18 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ჩიქვაიძემ მიიღო კანადის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში მისი ალმატებულება პიტერ ჰენკოკი. ბატონმა ჰენკოკმა ისაუბრა სახელმწიფოს მეთაურთან, თავდაცვის და შინაგან საქმეთა მინისტრებთან შეხვედრისას წამოჭრილი საკითხების შესახებ.

ბატონმა ჩიქვაიძემ აღნიშნა, რომ საქართველოსა და კანადას შორის ურთიერთობა და თანამშრომლობა უფრო აქტიური უნდა გახდეს.

საუბრისას აღინიშნა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს დაგეგმილი აქვს კანადაში ვიზიტი 1995 წლის გაზაფხულზე, ხოლო დარჩენილი დრო მოხმარდება ხელშეკრულებების მომზადებას, კერძოდ, კულტურის, განათლების, საგარეო ეკონომიკური ინვესტიციების დაცვის სფეროში.

შეხვედრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი იყო კანადის მხრიდან საქართველოს დახმარება, რაც გამოიხატება დიპლომატების კანადაში სტაჟირებაზე გაგზავნაში და კომპიუტერების მიწოდებაში.

ბატონმა ჰენკოკმა ყურადღება მიაპყრო საქართველოში არსებულ ვითარებას და აღნიშნა, რომ დასავლეთის ქვეყნებმა უფრო მეტი დაინტერესება უნდა გამოიჩინონ ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მიმართ.

შემდეგ კანადის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში პიტერ ჰენკოკი შეხვდა საგარეო უწყების წარმომადგენლებს.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.

ალექსანდრე ჩიქვაიძე ესაუბრა ევროკავშირის ექსპერტებს

18 ოქტომბერს საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელი ალექსანდრე ჩიქვაიძე შეხვდა ევროკავშირის ექსპერტებს ჟაკ ბლონდელსა და ჯონ რაიტს. ექსპერტთა ვიზიტის მიზანს წარმოადგენს წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების განხორციელება და კონტაქტების დამყარება საქართველოს რესპუბლიკის სხვადასხვა უწყებებთან და პარლამენტარებთან. თვით ამ პროექტს — „ცენტრალური და ეროვნული მთავრობის გაძლიერება ინფორმაციული პოლიტიკის ფორმულირების და პროფესიული დახმარების გზით“. ეწოდება. პროექტს განახორციელებს ევროპული უნივერსიტეტის ფლორენსიის ინსტიტუტი. შეხვედრაზე მნიშვნელოვანი ადგილი დაეთმო ორმხრივ თანამშრომლობას.

საუბარს ესწრებოდა ბენილუქსის ქვეყნებსა და ევროგაერთიანებაში საქართველოს რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი — ზურაბ აბაშიძე.

საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახური.

ქუთაისის მრეწველობა: ცხრა თვის შედეგები

ქუთაისი. საქინფორმის კორესპონდენტი ნუგზარ ლომთაძე. 1994 წლის სექტემბერში პრაქტიკულად მუშაობდა ქალაქის ყველა საწარმო, რომლებმაც აწარმოეს 2 ტრილიონ 572 მილიარდი კუპონის პროდუქცია, 9 თვის მანძილზე კი 5 ტრილიონ 572 მილიარდი კუპონის პროდუქცია. რეალიზებულია 3 ტრილიონ 673 მილიარდი კუპონის, აქედან რესპუბლიკის გარეთ გადატვირთულია 1 ტრილიონ 116 მილიარდი კუპონის ღირებულების პროდუქცია.

შარშანდელ 9 თვესთან შედარებით 15-მა საწარმომ გაზარდა წარმოების მოცულობა. ქალაქის მრეწველობის მიერ წარმოებულ პროდუქციაში ყველაზე დიდი ხვედრითი წილი აქვს ორ საწარმოს: ელექტრომექანიკურ ქარხანას და პურპროდუქტების კომბინატს, მათზე წარმოებული პროდუქციის 44,4 პროცენტი მოდის.

სადღეისოდ ქალაქის სამრეწველო კომპლექსში ძირითადად შენარჩუნებულია სამრეწველო-საწარმოო პერსონალი.

იმპორტიორთა საყურადღებოდ!

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1994 წლის 23 აგვისტოს № 584 დადგენილების თანახმად 1 ოქტომბრიდან საქართველოში შემოსატანი ყველა საიმპორტო ტვირთი დაზღვეული უნდა იქნეს კომპანია

„ალდაგში“.

დადგენილების თანახმად კომპანია
„ალდაგის“
სადაზღვევო სერტიფიკატის გარეშე ტვირთის შემოტანა იმპორტიორს დააკისრებს საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო კოდექსის 89-ე მუხლით დადგენილ პასუხისმგებლობას.

აღნიშნული არ ვრცელდება იმ ტვირთებზე, რომელთა იმპორტის შესახებ ხელშეკრულებ გაფორმებულ იქნა 1994 წლის 1 ოქტომბრამდე, რისთვისაც აუცილებელია აღნიშნული ხელშეკრულების რეგისტრაცია საქართველოს რესპუბლიკის საბაჟო დეპარტამენტში ამა წლის 1 ნოემბრამდე.

ისმინეთ ჩვენი ხმა!

ჩვენი უკანაფშავის მოსახლეობა დღედაღამ შრომობს, ვინც შრომობს, იმას არც მოშივდება. მაგრამ გულდასაწყვეტი ის არის, რომ ზოგჯერ მთა ღმერთსაც ავიწყდება და კაცსაც. ორი წელიწადია სახელმწიფოს აქ ნავთი და მარილი არ შემოუტანია. ზოგჯერ ფქვილი მოაქვთ, ისიც სპეკულაციურ ფასებში. ჰუმანიტარული დახმარება საერთოდ არ მიუღია ფშავს. გაზი ხომ არ არის და არა. ელექტროხაზებიც ზიანდება, ითიშება. ტელევიზიაც დაზიანდა. ერთი სიტყვით, გაჭირდა ცხოვრება. მიუხედავად ამისა, არაფერს შევუშინდებით, არ გავტყდებით. „შეშინებული ვაჟისა ხორცი ყორანმაც არ ჭამაო“, — ამბობს ჩვენი ხალხი. ძველი აღებ-მიცემობა მოწონებაშია. ერბოს, ყველს, პირუტყვს ვცვლით ფქვილზე, შაქარზე, ნავთზე, მარილზე, საკრებულოს თუ ორიოდე შაური გაუჩნდა, ისევ და ისევ ფქვილის შეძენასა და მოსახლეობაზე დარიგებას ვცდილობთ. ალბათ, იკითხავთ, ჩვენს მუშაობაში, მთის ცხოვრებაში მთავარი პრობლემა მაინც რა არის?

მთავარი პრობლემა მიწის განაწილების, პრივატიზაციის პრობლემაა. ჯერ ერთი, არავინ ნორმას არა სჯერდება და ცდილობს მეტი სახნავ-სათესი, სათიბ-საძოვარი გამოიყენოს. ერთი შეხედვით, ამაში თითქოს ცუდი არაფერია. კაცს თუ შეუძლია, თავის სახლის გასადევარში. დაე, რაც შეიძლება მეტი დაამუშაოს, მაგრამ შემდეგ ეს ადგილი რომ სხვას დასჭირდეს, მას აქედან ფეხს ვეღარ მოაცვლევინებ.

მეორე, ყოველი სოფელი თუ მოსახლე არა სჯერდება იმას, რასაც დღემდე არსებული კანონი აკუთვნებს და დარჩენილი ფართობის ექსპლუატაციისა თუ გაქირავების შემთხვევაში საფასურის აღებას მოითხოვს. ამის გამო სადავო ხდება ვის მიეცეს მთის საძოვრების გაქირავებით შემოსული თანხები: რაიონს, საკრებულოს თუ ცალკეულ თემს, სოფელს? ეს იმით არის გამოწვეული, რომ პირველ რიგში, არ არის ჩვენში სახელმწიფო წესრიგი და, მეორეს მხრივ, მთლიანად და სრულყოფილად არ არის შეხამებული სახელმწიფოსა და მიწათსარგებლობის ძველი სათემო ტრადიციები. ამიტომ საჭიროდ ვთვლით საქართველოს პარლამენტთან შეიქმნას მიწათსარგებლობის შემსწავლელი კომისია, რომელიც ღრმად გაერკვეოდა მთის ზონის პირობებში და ამის მიხედვით გადაწყვეტდა ამ სადავო საკითხს.

ვითხოვ სიტყვას!

მიგვაჩნია, რომ მთის ზონის სახნავ-სათესი თუ სათიბ-საძოვარი ცალკეული სოფლების მიხედვით უნდა განაწილდეს, ხოლო თვით სოფელში მიწა — მცხოვრებთა შორის თანაბრად, რადგან დღეს ზოგიერთს უკავია განუსაზღვრელი რაოდენობით, ზოგიერთს კი მინიმუმიც არა აქვს.

ის ფართობები, რომლებიც ნორმირებულ განაწილებაში არ ექცევა, სახელმწიფოსა და საკრებულოს დაქვემდებარებულად უნდა ჩაითვალოს. მათ უფლება უნდა მიეცეთ ამ სარეზერვო ფონდიდან, საჭიროების შემთხვევაში ახლადშექმნილ ოჯახებს გამოუყონ სათანადო ფართობი, ხოლო დარჩენილი მიწა ნებისმიერ მსურველს მიაქირაონ. ოფიციალური საკრებულოს ფონდში შემოსული ყველა თანხა შესაძლებლობის მიხედვით მოხმარდება სოფლების კეთილმოწყობას, სასოფლო გზების, ხიდების მოვლა-პატრონობას, მშენებლობას.

შუაფხოს საკრებულო, ჩვენ ხელთ არსებული მცირე შესაძლებლობით, დღეს დახმარებას უწევს სკოლა-ინტერნატს. ამჟამად მათურის ხევზე მიტანილია რკინის სამანქანო ხიდი, რომელიც სამხედროებისგან შევიძინეთ. უახლოეს ხანში მას დავამონტაჟებთ. ყველაფერი ეს მხოლოდ საძოვრების გაქირავების შედეგად მიღებული თანხებით კეთდება.

ყიზლარის საზამთრო საძოვრებზე ცხვრის გადაყვანის სირთულემ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა აქაური მეცხვარეები. ფშავს ბალახით მდიდარი საძოვრები ჰქონდა შირაქში. თუშებთან ერთად ფშაველები ერთგულად იცავდნენ ამ ტერიტორიას. კოლექტივიზაციამ ყველა სამანი წაშალა, მაგრამ... თუ მთავრობა დაინტერესდება, თავი და ბოლო მაინც გაიგება. შირაქში ფშავისათვის საძოვრების გამოყოფა სახელმწიფო დონეზე არ განხილულა, დრო კია ასე გაკეთდეს. ამჟამად ჩვენი მეცხვარეები დადიან შირაქში, ზოგი ქირას იხდის, ზოგი სამაგიერო საზაფხულო იალაღებს ჰპირდება შირაქელ თანამოძმეს. მაგრამ ასეთი გარიგებანი მაინც მერყევია და უმანძილო. ეს საკითხი, ვიმეორებ, მოსაგვარებელია. ჩვენი მთის მეცხოველეობის განვითარება მტკიცე საფუძველზე უნდა დავაყენოთ.

ისმინეთ ჩვენი ხმა, — რაც ადგილზე გასაკეთებელია, ჩვენ გავაკეთებთ, სადაც დასახმარებელია, — დაგვეხმარეთ. მთა სიკეთის ათმაგად აგინაზღაურებთ!

იოსებ ციბროშვილი,
დუშეთის რაიონის შუაფხოს სასოფლო საკრებულოს გამგებელი.

1994 წლის 17 სექტემბერი.

საქართველოს რესპუბლიკა

განცხადება ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ

I. შესავალი

1. ქვეყნის მიერ 1991 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების დროიდან საქართველოს ეკონომიკა სწრაფ დაქვეითებას განიცდის. ფაქტორების კომპლექსმა — ყოფილ სსრ კავშირის სახელმწიფოებთან ტრადიციული კავშირების გაწყვეტის ჩათვლით ისეთ სფეროებში, როგორიც არის ვაჭრობა და ურთიერთანგარიშსწორება, აგრეთვე სამოქალაქო კონფლიქტებმა (კერძოდ და განსაკუთრებით ომმა აფხაზეთში) და, ბოლოს, არასწორმა საფინანსო-საკრედიტო პოლიტიკამ გამოიწვია წარმოების მოცულობის კატასტროფული შემცირება, ჰიპერინფლაცია. ეროვნული სავალუტო ერთეულის მსხვილმასშტაბიანი შეცვლა უცხოური ვალუტით. მოხდა მოსახლეობის ცხოვრების დონის მკვეთრი დაქვეითება, რის შედეგადაც ქვეყანამ დაკარგა შესაძლებლობა საგარეო დახმარებების გარეშე დაეკმაყოფილებინა ხალხის საარსებო მოთხოვნილებები.

2. 1993 წლის დამლევს მთავრობამ მიიღო ეკონომიკური განვითარების საშუალოვადიანი პროგრამა, რომელიც მიმართული იყო საქართველოში ჭეშმარიტად საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბებისაკენ. პროგრამის რეალიზაციას ხელი შეუშალა იმ ფაქტმა, რომ მთავრობა იძულებული იყო ძირითადი ყურადღება დაეთმო აფხაზეთის ომისათვის, დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული შეტაკებების, უკანონობისა და უწესრიგობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. აფხაზეთში სამხედრო მოქმედებათა შეწყვეტისა და ქვეყნის ტერიტორიის დიდ ნაწილში მართლწესრიგის აღდგენის შემდეგ მოხდა პოლიტიკური და სოციალური ვითარების ერთგვარი სტაბილიზაცია, მაგრამ ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ისე ფინანსური მდგომარეობა კვლავ სწრაფი ტემპით უარესდებოდა, მთავრობას და საქართველოს ეროვნულ ბანკს კარგად ესმით, თუ რა დიდი დამღუპველი შედეგები მოაქვს ახლანდელ ჰიპერინფლაციას დანაზოგების, საინვესტიციო გადაწყვეტილებებისა და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივებისათვის და აპირებენ მის სალიკვიდაციოდ მიიღონ ყველა მაკორექტირებელი ღონისძიება, რომელიც აუცილებელია.

3. ამიტომ, საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტებთან მჭიდრო თანამშრომლობით ჩვენ შევიმუშავეთ ქვემოთ წარმოდგენილი სტაბილიზაციისა და სტრუქტურული რეფორმების შორსმიმავალი პროგრამა 1994 წლის 1 ნოემბრიდან 1995 წლის ოქტომბრის ბოლომდე პერიოდისათვის. ჩვენი პროგრამის ძირითადი ამოცანაა შევაჩეროთ პროცესი მისი განვითარების საწყის ეტაპზე, შევქმნათ მყარი ეკონომიკური აღმავლობის განახლებისათვის საჭირო პირობები. ამის შესაბამისად, სტაბილიზაციის მიზნით, პროგრამა მიმართულია იქით, რომ: (1) საპროგრამო პერიოდის დამლევისათვის 1 პროცენტამდე შემცირდეს ინფლაციის თვიური ინდექსი, როდესაც მკვეთრად მცირდება ფასების ზრდის ტემპი უკვე პროგრამის რეალიზაციის პირველსავე თვეებში; (2) განმტკიცდეს პოზიციები საქართველოს ეროვნული ბანკის ერთობლივი რეზერვების დარგში; (3) შეჩერდეს წარმოების დაცემა. მთავრობას ასევე განზრახული აქვს მოახდინოს ურთიერთობათა ნორმალიზება ერთის მხრივ საქართველოსა და, მეორეს მხრივ, მის კრედიტორებს და სავაჭრო პარტნიორებს შორის. რაც შეეხება რეფორმების სტრუქტურას. ცოტა ხნის წინ ჩვენ მივაღწიეთ მნიშვნელოვან პროგრესს ფასების სრული განთავისუფლების მიმართულებით. გარდა ამისა, ჩვენ განზრახული გვაქვს განვამტკიცოთ საგადასახადო-საბიუჯეტო უწყებების ინსტიტუციური სტრუქტურა, მოვახდინოთ საქართველოს ეროვნული ბანკის მოდერნიზაცია, სახელმწიფო აპარატის რაციონალიზაცია მისი მოცულობის მნიშვნელოვან შემცირებასთან ერთად, მოვახდინოთ სახელმწიფო შეკვეთების სისტემის ეტაპობრივი გაუქმება. დაბოლოს, გარდამავალ პერიოდში მოსახლეობის ყველაზე ნაკლებ უზრუნველყოფილი ფენების დაცვის მიზნით პროგრამა ითვალისწინებს მასშტაბითა და მოცულვის თვალსაზრისით შეზღუდული სოციალური დაცვის საშუალებათა სისტემის შექმნას. ამ სისტემის მოცულობა და ფორმა გადაისინჯება საფინანსო შეზღუდვების შერბილებისდა მიხედვით.

4. ამჟამად საქართველოს მიერ გადატანილ სიძნელეთა მიუხედავად, ქვეყანას ზრდის უდიდესი პოტენციალი გააჩნია. ქვეყნის უმთავრეს უპირატესობათა შორის უნდა ჩაითვალოს ის, რომ გვყავს მაღალი განათლების მქონე სამუშაო ძალა, გვაქვს მეწარმეობის ხანგრძლივი ტრადიცია და, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ საქართველოს აქვს საკმაოდ მდიდარი ბუნებრივი რესურსები და თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით შეუძლია შეასრულოს „დერეფნის“ მოვალეობა ევროპასა და აზიას შორის გადაზიდვებისათვის. არსებობს კარგი პერსპექტივები ინვესტიციებისათვის სამთომომპოვებელ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ჰიდროენერგეტიკაში, ტურიზმში. ამასთან, ჩვენ გვესმის, რომ ძალისხმევა ჩვენი პოტენციური ზრდის სარეალიზაციოდ საჭირო შიდა და საგარეო ინვესტიციების მოზიდვისათვის ალბათ ფუჭი იქნება, თუ არ შევაჩერეთ ჰიპერინფლაცია, თუ არ მივაღწევთ მნიშვნელოვან პროგრესს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მიმართულებით. ჩვენ გვწამს, რომ ქვემოთ გადმოცემული პროგრამა წინ გადადგმული არსებითი ნაბიჯია საქართველოს ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობის აღსადგენად. მიუხედავად ამისა, იმის გამო, რომ ქვეყნის ეკონომიკა განიცდის დიდმასშტაბიანი სანაციისა და რეაბილიტაციის მწვავე საჭიროებას, საქართველოს საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ადრინდელივით დასჭირდება ფინანსური დახმარება საერთაშორისო საფინანსო ორგანოებისა და დონორებისა და კრედიტორების გაერთიანების მხრივ.

II. საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა

5. მთავრობას მიაჩნია, რომ ეკონომიკური სტაბილიზაციის პროგრამაში კარდინალურ როლს ასრულებს საგადასახადო-საბიუჯეტო პოლიტიკა. ამიტომ ჩვენი ფულად-საკრედიტო პროგრამა სამ ძირითად მიზანს ისახავს. ჯერ ერთი, ჩვენი პროგრამის მაკროეკონომიკური ამოცანების შესაბამისად მთავრობა აპირებს შეზღუდოს სახელმწიფო მმართველობის ყველა რგოლის (რესპუბლიკური მთავრობისა და ადგილობრივი მმართველობის ორგანოთა) და, აგრეთვე, არასაბიუჯეტო ფონდების დაფინანსება. ჩვენ აგრეთვე გადაწყვეტილი გვაქვს კვლავაც გავატაროთ პოლიტიკა, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ მინიმუმამდე შევამციროთ სახელმწიფო საქმიანობის საბანკო დაფინანსება 1995 წლის დანარჩენ პერიოდშიც. მეორე, ჩვენ განზრახული გვაქვს განვამტკიცოთ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გადასახადების საკითხში ახალი ღონისძიებების მიღებით, აგრეთვე საგადასახადო ადმინისტრაციის სრულყოფისათვის გამიზნული მტკიცე ძალისხმევით. მესამე, სახელმწიფო ხარჯების პროგრამა გადაყვანილი იქნება რაციონალურ საფუძველზე საყოველთაო სუბსიდიების გაუქმების და თითქმის ყველა სხვა ხარჯების შემცირების ხარჯზე, გამონაკლისი იქნება დანახარჯები შრომის ანაზღაურებისა და სოციალური დაცვის სახსრების სისტემისათვის. მაგრამ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ბაზის თითქმის სრული მოშლის შედეგად აღნიშნული მიზნების მისაღწევად საჭირო იქნება საგარეო გრანტები და ჰუმანიტარული დახმარება, აგრეთვე საგარეო კრედიტები შეღავათიანი პირობებით. ამასთან დაკავშირებით მთავრობას, დონორთა გაერთიანებასთან კონსულტაციით, განზრახული აქვს უზრუნველყოს იმ შემხვედრი სახსრების ეფექტიანი მოკრება და გამოყენება, რომლებსაც ვღებულობთ ჰუმანიტარული დახმარების სახით შემოსული საქონლის ქვეყნის შიგნით რეალიზაციის ხარჯზე.

6. საგადასახადო-საბიუჯეტო სფეროში ზემოთ მითითებული საერთო მიზნების მისაღწევად მთავრობამ ამჟამად მიიღო მთელი რიგი ზომები, რომლებიც ეხება ბიუჯეტის როგორც გასავლის, ისე შემოსავლის ნაწილს. გასავლის მხრივ მთავრობას კარგად ესმოდა, რომ ბიუჯეტის ყველაზე მძიმე მუხლების გაუქმების ხარჯზე სახელმწიფო ფინანსების მნიშვნელოვანი გაჯანსაღებისათვის საჭირო იყო სუბსიდიების გაუქმება პურზე, გაზსა და ელექტროენერგიაზე. ამ მიზნით 1994 წლის 7 სექტემბერს გაიზარდა ყველა საშინაო ფასი გაზსა და ელექტროენერგიაზე, რათა აგვესახა იმპორტისა და განაწილების სრული ღირებულება, გაცვლითი კურსის ცვლილებებთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით. გარდა ამისა, მომავალში, სულ ცოტა თვეში ერთხელ, მოხდება შესაბამისი ფასების გადასინჯვა შემდგომი სუბსიდირების საჭიროების გამორიცხვის მიზნით.

1994 წლის 17 სექტემბერს პურის ფასმა აიწია კილოგრამში 200000 კუპონამდე, გარდა ამისა, 1994 წლის ოქტომბერში ფასები პურზე საბოლოოდ განთავისუფლდება. აღნიშნული თარიღიდან მთავრობის მიერ საგარეო კრედიტებისა და გრანტების ხარჯზე მიღებული ხორბალი გაიყიდება, დონორების მიერ დაწესებული შეზღუდვების გათვალისწინებით, მსოფლიო ბაზრის ფასებით (ამჟამად შეადგენს დაახლოებით აშშ 110 დოლარს ტონაში), ღირებულების გადაანგარიშებით იმ მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად, რომელიც აუქციონზე ჩამოყალიბდა. იმავე წყაროებიდან მიღებული ფქვილი შეფასდება ხორბალზე მსოფლიო საბაზრო ფასისა და ქვეყნის შიგნით მის დაფქვაზე გაწეული დანახარჯების გათვალისწინებით.

7. ფასების შეფარდებისა და ხარჯების შემცირების შემდგომი რაციონალიზაციის ინტერესებიდან გამომდინარე, მთავრობამ 1994 წლის 17 სექტემბრიდან ასევე მინიმუმამდე დაიყვანა საზოგადოებრივი ტრანსპორტის სუბსიდირება რესპუბლიკის ბიუჯეტის ხარჯზე. მთავრობას აგრეთვე განზრახული აქვს თვეში 500 მლრდ კუპონით შემოფარგლოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის საკასო სუბსიდიები 1994 წლის დარჩენილ პერიოდში, შემდგომ მნიშვნელოვნად შეამციროს ეს სუბსიდიები 1995 წლის პირველ ნახევარში და მთლიანად გააუქმოს 1995 წლის შუა ხანებისათვის. გარდა ამისა, 1995 წლის 1 სექტემბერს ყველა სუბსიდია და ტრანსფერტი შეუწყდათ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, საპროცენტო განაკვეთებზე იმ სუბსიდიების ჩათვლით, რომლებიც გამოიყენებოდა მიზნობრივ კრედიტებზე. მომავალში ასეთი სუბსიდიები აღარ განახლდება.

8. მიუხედავად იმისა, რომ დიდი დისბალანსი ბიუჯეტის საშემოსავლო და საგასავლო ნაწილებს შორის გამორიცხავდა საბიუჯეტო საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშა-მოსამსახურეების ხელფასის რეალური გადიდების შესაძლებლობას, მთავრობამ 1994 წლის 1 სექტემბრიდან გაზარდა მათი ნომინალური ხელფასი. იგი აყვანილ იქნა 1 მლნ. კუპონამდე. ამასთან, სარგოების ახალი ბადე ითვალისწინებს ამ საბაზო მნიშვნელობის მიმართ 1-დან 5.5-მდე კოეფიციენტის გამოყენებას. გამონაკლისის სახით ძალისმიერი სამინისტროების თანამშრომლებისა და სამხედრო მოსამსახურეთა მიმართ გამოიყენებს ზედა კოეფიციენტი 15. მთავრობა არ აპირებს 1994 წელს დაუშვას ხელფასის, სხვა საკომპენსაციო გასაცემლების (დანამატების, პრემიების და სხვა ჩათვლით), პენსიების, სოციალური დახმარებებისა და ლტოლვილთათვის გასაცემლების რაიმე დამატებითი საერთო გადიდებას, გარდა ამისა, ხელფასის გადიდება 1995 წელს დაიშვება მხოლოდ ინფლაციის ინდექსის მიმართ პროგრამაში ჩადებული მიზნების საფუძველზე. არასაბიუჯეტო სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ გაცემული ხელფასისა და დანარიცხების სიდიდე სამუშაოს მომცემსა და მომუშავეთა შორის თავისუფალი შეთანხმების საგანი იქნება.

9. არსებული ფინანსური კრიზისი არ იძლევა სათანადო შესაძლებლობებს მოსახლეობის ყველაზე დაუცველი და ნაკლებუზრუნველყოფილი ფენების სოციალური დაცვის სახსრების უზრუნველყოფისათვის. მიუხედავად ამისა 1994 წლის11 სექტემბრიდან საბიუჯეტო სექტორის მუშა-მოსამსახურეებს, რომელთა ხელფასი შეესაბამება სარგოების სტრუქტურის ქვედა საფეხურებს (ე. ი. 25 კოეფიციენტზე დაბალია) და, აგრეთვე, პენსიონერებს ეძლევათ დანამატი, რომელსაც მათი შემოსავალი გადასახადის დაქვითვამდე (ხელფასი პლუს სპეციალური დახმარებები) 2,5 მლნ კუპონამდე აჰყავს. ამჟამად 18 თვემდე ასაკის ყველა ბავშვს ეძლევა დახმარება თვეში 0,8 მლნ კუპონი ერთ ბავშვზე. ხორციელდება საგანგებო ზომები მარტოხელა დედების, ლტოლვილებისა და სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტების დასახმარებლად. მთავრობას განზრახული აქვს 1995 წლის 1 თებერვლიდან ამჟამად მოქმედი სტიპენდიების სტრუქტურა გადაიყვანოს უფრო რაციონალურ საფუძველზე, სტუდენტებისათვის საერთო გასაცემლების სტრუქტურა შეცვალოს დახმარებების სისტემით, რომელიც დაეფუძნება მათ მოსწრებას. მთავრობას ესმის, რომ თუმცა სოციალური დაცვის სახსრების უზრუნველყოფა აუცილებელია, სარგოებისა და საკომპენსაციო გასაცემლების მოქმედი სისტემა დაკავშირებულია მოსახლეობის შემოსავლებში განსხვავებებში მკვეთრ შემცირებასთან. როგორც კი ვითარება ამის შესაძლებლობას მოგვცემს, მთავრობა მსოფლიო ბანკთან და საერთაშორისო სავალუტო ფონდთან მჭიდრო კონსულტაციით, შემოიღებს სტრუქტურას, რომელიც უზრუნველყოფს იმ დიდ მატერიალურ სტიმულებს აღნიშნული განსხვავებების სახით, ასე რომ ესაჭიროება მაღალკვალიფიციური კადრების დენადობის შემცირებას. პროგრამის რეალიზაციის მსვლელობაში გადასინჯული იქნება როგორც სოციალური დაცვის საშუალებები, ისე ხელფასის სტრუქტურა, ამასთან, რეფორმები ამ სფეროში განხორციელდება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის თანამშრომელთა მჭიდრო მონაწილეობით.

10. მთავრობა გადავიდა ხარჯების მიმართ მკაცრი კონტროლის სისტემაზე იმ მიზნით, რომ შეაკავოს ხარჯების მიხედვით ვალდებულებანი რესპუბლიკურ დონეზე. მინისტრთა კაბინეტმა უკვე მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც რწმუნებულებას აძლევს ფინანსთა მინისტრს 1994 წლის 1 ოქტომბრიდან განახორციელოს კონტროლი, შეკავება და ლიმიტირება ყველა იმ ხარჯის მიხედვით ვალდებულებისა (დასახული ასიგნებისა), რომლებიც მიღებულია რესპუბლიკის მთავრობის დონეზე, იმ მიზნობრივი მაჩვენებლების შესაბამისად, რომლებიც საფუძვლად უდევს ჩვენს პროგრამას. ამასთან დაკავშირებით სამინისტრომ უკვე მოამზადა იმ ხარჯების მუხლების ნუსხა, რომლებიც უნდა შემცირდეს შემონატანების, საგარეო რესურსების, სხვა შემოსავლებისა და საბანკო დაფინანსების დაგეგმილი მოცულობების უკმარისობის შემთხვევაში. გარდა ამისა, სახელმწიფო ხარჯების უფრო ზუსტი კონტროლისა და შეკავების ინტერესებისათვის 1994 წლის 31 აგვისტოდან რესპუბლიკური მთავრობის ყველა საბიუჯეტო ანგარიში გადატანილია საქართველოს ეროვნულ ბანკში. 1994 წლის 1 აგვისტოდან დაწყებული მთავრობამ ასევე შეაჩერა რაიმე საბანკო კრედიტების გაცემა თვითმმართველობის ადგილობრივ ორგანოებზე.

11. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს რაც შეეხება, 1994 წლის 1 ნოემბრიდან ძალაში შედის შემდეგი საგადასახადო ზომები: (1) დამატებითი ღირებულების გადასახადი გაიზარდა 14-დან 20 პროცენტამდე; (2) საბაზო საბაჟო გადასახადი გაიზარდა 2-დან 12 პროცენტამდე; (3) ბენზინზე აქციზი გაიზარდა 10-დან 15 პროცენტამდე; (4) გაუქმდა გადასახადი იმ ქვეყნებიდან ექსპორტზე, რომლებიც არ შედიან დსთ-ში. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ბაზის განსამტკიცებლად 1994 წლის 1 ნოემბრიდან პურზე, ფქვილზე და პურპროდუქტებზე აიკრიბება დამატებითი ღირებულების გადასახადი 10 პროცენტის ოდენობით. შემდეგ, 1994 წლის 1 ნოემბრიდან გაუქმდება შეღავათები, რომლებიც ათავისუფლებდა დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან და ეხებოდა საგზაო ტრანსპორტს, სათამაშო სახლებს (კაზინოებს), ზოგიერთი სახის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულს და ძვირფას ლითონებს. მთავრობა აგრეთვე შეუდგა იმ სავარაუდო გადასახადის ინფლაციის ინდექსთან კორექტირებას, რომელიც გამოიყენება სავაჭრო წერტებისათვის (ჯიხურები, ფარდულები და ა. შ.). კონკრეტულად: 1994 წლის 1 ოქტომბრიდან ასეთი სავაჭრო წერტებისადმი გამოიყენება შემდეგი ზომები: (1) 5 კვადრატულ მეტრზე ნაკლები ფართობის წერტისათვის თვიური გადასახადი გაიზრდება 1 მლნ კუპონიდან 50 მლნ კუპონამდე; (2) 5-დან 20 კვადრატულ მეტრამდე ფართობის წერტებისათვის — 50 მლნ კუპონამდე პირველი 5 კვადრატული მეტრისათვის, პლუს 3 მლნ კუპონი თითოეული დამატებითი კვადრატული მეტრისათვის; (3) 20 კვადრატული მეტრიდან 50 კვადრატულ მეტრამდე ფართობის წერტებისათვის — 95 მლნ კუპონამდე პირველი 20 კვადრატული მეტრი ფართისათვის, 1 მლნ კუპონი თითოეული დამატებითი კვადრატული მეტრისათვის. იმ სავაჭრო წერტების მეპატრონეებისაგან, რომელთა ფართობი აღემატება 50 კვადრატულ მეტრს, მოქმედი წესის შესაბამისად აიკრიფება მოგების გადასახადი. აღნიშნული განაკვეთების კორექტირება მოხდება (ყოველწლიურად) ინფლაციის მიხედვით.

12. ემზადებოდა რა საგადასახადო აპარატის საქმიანობისა და ორგანიზაციული სტრუქტურების გაუმჯობესების პროექტის განსახორციელებლად, რომლის რეალიზება მოხდება საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დახმარებით, მთავრობამ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციასთან შექმნა საგანგებო ოპერატიული განყოფილება გადასახადების გადამხდელთა მიერ კანონის დაცვისა და ნაშთების აკრეფის უზრუნველყოფის მიზნით. 1994 წლის 1 ოქტომბრიდან სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია გამოყოფს თავის თანამშრომელთა საკმაო რაოდენობას გადასახადების გადამხდელთა ინფორმირების საქმიანობისათვის.

13. მთავრობამ, რომელსაც ესმის, თუ რა კრიტიკულად დიდი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო და საბაჟო აპარატს, როგორც საჭირო შემოსავლების მოზიდვის საშუალებათა სრულყოფას, მიიღო შემდეგი ზომები. ჩვენ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციაზე გადავიტანეთ პასუხისმგებლობა გადასახადის გადამხდელთა კოდური ნომრების მინიჭებისათვის, ჩამოვაყალიბეთ რა მასთან გადასახადის გადამხდელთა იდენტიფიკაციის ქვედანაყოფი. მუშაობა გადასახადის გადამხდელთა კოდური ნომრების შემუშავებისა და მინიჭებისათვის დამთავრდება 1994 წლის 1 დეკემბრისათვის. მაშინვე მათი მინიჭების შემდეგ, გადასახადის გადამხდელთა კოდური ნომრები გადაიქცევა აუცილებელ რეკვიზიტად, რომელიც მითითებული უნდა იყოს ყველა საიმპორტო დეკლარაციაზე და სხვა საგადასახადო ფორმულარზე, ანგარიშ-ფაქტურაზე და სხვა დოკუმენტებზე.

14. საგადასახადო ადმინისტრაციის შემდგომი განმტკიცების მიზნით მთავრობამ (1994 წლის 1 ოქტომბრისათვის) მიიღო შემდეგი ზომები: (ა) 250 მლნ. კუპონამდე გაიზარდა ჯარიმა, რომელიც გამოყენებული იქნება დამატებითი ღირებულების გადამხდელების მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ რეგისტრაციას, ყოველთვიური დეკლარაციის დროულად წარმოდგენას ან ბანკებისათვის დაკავებული დამატებითი ღირებულების გადასახადის დროულად გადარიცხვას; (ბ) დღეღამეში 2 პროცენტამდე გაიზრდება პროცენტული გადასახადი ვადაგასულ გადასახადებზე გადახდევინებული პროცენტების დარიცხვის უზრუნველყოფით; (გ) დამატებითი ღირებულების გადასახადის ზღურბლი გაუთანაბრდეს 2,5 ტრლნ. კუპონის წლიურ ბრუნვას ამ ზღურბლის ყოველწლიური კორექტირებით; (დ) იმ სამუშაოთა ინტენსიფიკაცია, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ გადასახადის გადამხდელებმა უკეთ გაიგონ თავიანთი მოვალეობა, ამ მიზნით თანამშრომლების ადგილებზე დანიშვნა, გაძლიერებული საკრედიტო კომპანიის ჩასატარებლად; (ე) ქვედანაყოფის შექმნა მსხვილი გადასახადის გადამხდელთა საქმეებზე იმ მიზნით, რომ წარმართონ მიზანმიმართული მუშაობა 30-50 ყველაზე მსხვილი გადასახადის გადამხდელთაგან გადასახადების ასაკრეფად. გარდა ამისა, 1994 წლის 1 ოქტომბრიდან მთავრობამ უზრუნველყო საკანონმდებლო საფუძვლები, რომლებიც ნებას აძლევენ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციას დროებით დახურონ საწარმოები და ორგანიზაციები გადასახადების გადახდისაგან ხანგრძლივი თავის არიდების ან ამის რეციდივების შემთხვევაში.

15. საბაჟო ადმინისტრაციის რეფორმის მხარდასაჭერად მთავრობამ 1994 წლის 1 ოქტომბრისთვის წარმოადგინა საბაჟო შეფასებათა კოდექსის კანონპროექტი, რომელიც ნებას რთავს სახელმწიფო საბაჟო კონტროლს გამოიყენოს 150 მლრდ კუპონის ოდენობის ჯარიმა იმ იმპორტიორთა (ან მათ ბროკერთა) მიმართ, რომლებიც თავს არიდებენ საჭირო საიმპორტო დოკუმენტაციის წარმოდგენას სათანადო ფორმით. სახელმწიფო საბაჟო კონტროლი აგრეთვე დაუყოვნებლივ დაიწყებს იმ იმპორტიორების სასაქონლო გადმოტვირთვების შერჩევით კონფისკაციას, რომლებიც თავს არიდებენ შესაბამისი ბაჟისა და გადასახადის გადახდას მათ მიერ შემოტანილი საქონლისათვის.

16. კუპონისადმი ნდობის განმტკიცების მიზნით მთავრობამ მიიღო ყველა ზომა, რომლებიც აუცილებელია, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ყველა საბიუჯეტო ოპერაციის, გადასახადების აკრეფის ჩათვლით, წარმოება კუპონებით.

17. შექმნილი ფინანსური კრიზისის სიმწვავის გამო და ინფლაციასთან ბრძოლის ერთ-ერთ ელემენტად მთავრობა აპირებს თავისი ვადაგასული საშინაო ვალის თითქმის მთელი მოცულობა გადააქციოს უპროცენტო ობლიგაციებად 3-დან 5 წლამდე ვადით. ეს ოპერაცია ორ ეტაპად განხორციელდება. მთელი დავალიანება, რომელიც წარმოიქმნა 1994 წლის სექტემბრის დამლევისათვის, გამოვლინდება და გაიყინება. დიდი საწარმოების ვადაგასული დავალიანება მთავრობისა და სხვა კრედიტორთა მიმართ გაანალიზდება, ხოლო 1995 წლის მარტისათვის სახელმწიფო ვალის სუფთა ნაშთები უპროცენტო ობლიგაციებად გადაიქცევა. მთავრობამ ასევე დააჩქარა მოსამზადებელი სამუშაოები ფინანსთა სამინისტროსთან სახაზინო სამმართველოს შესაქმნელად იმ მოლოდინით, რომ 1994 წლის შემოდგომისათვის დასახულია მუშაობის დაწყება ხაზინის შექმნის საჩვენებელი პროექტის ფარგლებში საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის დახმარებით. კერძოდ მან დანიშნა ხაზინის მომავალი ხელმძღვანელი და შტატებით დააკომპლექტა სახაზინო სამმართველო ფინანსთა სამინისტროსთან. კანონი ხაზინის შესახებ უნდა მიიღოს პარლამენტმა.

III. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

18. მთავრობა აღიარებს, რომ ცენტრალური ბანკის მიერ სახელმწიფო ხარჯების დაფინანსება გახდა მთავარი ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია კუპონის ღირებულების კატასტროფული დაცემა. 1994 წლის ერთი ნაწილის განმავლობაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ბიუჯეტის დეფიციტის დაფინანსების ზემოქმედება ინფლაციის ინდექსსა და ოფიციალურ გაცვლით კურსზე ერთგვარად შეამსუბუქა ბანკნოტების დეფიციტმა, ანგარიშებზე დარჩენილი ნაშთების განაღდების შეზღუდვებმა, უცხოური ვალუტის ყოველკვირეულმა აუქციონების ჩატარებამ მხოლოდ და მხოლოდ ნაღდი ფულის ნაღდ ფულზე ყიდვა-გაყიდვის საფუძველზე. მაგრამ აღნიშნულმა მოვლენებმა დაარღვიეს საბანკო სისტემის მთლიანობა და ნდობა მის მიმართ, გამოიწვიეს უნაღდო კუპონების ცალკე ბაზრის წარმოქმნა, სადაც ჩამოყალიბდა უნაღდო კუპონის გადასაცვლელი კურსი, რომელიც ოფიციალურზე გაცილებით დაბალი იყო. სისტემის მიმართ ნდობის აღდგენის პირველ ნაბიჯად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1994 წლის 23 სექტემბერს გააუქმა ყველა შეზღუდვა დეპოზიტების ნაღდ ფულად კონვერტაციაზე. ამასთან, ამ აქციის ვადები განისაზღვრა ნაღდი და უნაღდო კუპონის ბაზრების უნიფიკაციის ვადების, ბანკნოტების საჭირო რაოდენობის უზრუნველყოფის, ფასების ამასწინანდელი რეფორმისა და ხელფასის სათანადო ამაღლების შესაბამისად.

19. 1993 წლის დეკემბერსა და 1994 წლის დამლევს შორის პერიოდში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რამდენჯერმე სცადა გაემკაცრებინა ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, მაგრამ ეს ცდები არცთუ წარმატებით გამოდგა. მიღებულ ზომებში შედიოდა ცალკეულ დარგებისათვის შეღავათიანი საპროცენტო განაკვეთებით მიზნობრივი კრედიტების მიცემის პრაქტიკის შეწყვეტა, აგრეთვე მინიმალური რეზერვების მოცულობისადმი მოთხოვნილების ამაღლება. მაგრამ სახელმწიფო კომერციულ ბანკებს — ე. ი. ბანკებს, რომლებიც მთავარ როლს ასრულებდნენ სისტემაში — შესაძლებლობა მიეცათ მნიშვნელოვანი ოვერდრაფტები ჰქონოდათ თავიანთ საკორესპონდენტო ანგარიშებზე და არ დაეცვათ მოთხოვნები აუცილებელი რეზერვების შესახებ. ოვერდრაფტების დიდი ნაწილი ფაქტობრივად შეესაბამებოდა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დაშვებულ მთავრობის დაკრედიტებას სახელმწიფო-კომერციული ბანკების მიერ. 1994 წლის ივლისში ეს ოვერდრაფტები მთავრობის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნებად გარდაიქმნა. 1994 წლის 1 ოქტომბრიდან ბანკები აღარ იყენებენ თავიანთი საკორესპონდენტო ანგარიშების მიხედვით ოვერდრაფტებზე ავტომატურ უფლებას.

20. განვითარების საკმაოდ ადრეულ სტადიაზე ჰიპერინფლაციის შესაჩერებლად საქართველოს ეროვნული ბანკი აპირებს განახორციელოს მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის სარეზერვო ფულის მატება შეიზღუდოს. საქართველოს ეროვნული ბანკის პოლიტიკა აგრეთვე დაექვემდებარება აღნიშნული ფარგლების დაცვის მიზნებს. მაგრამ, დღევანდელ პირობებში თითქმის სრულიად არ არსებობს ცენტრალური ბანკის მიერ კომერციული ბანკებისათვის რეფინანსირების კრედიტების მიცემის შესაძლებლობა აუქციონების მექანიზმის მეშვეობით. მიუხედავად ამისა, ბანკებს შეუძლიათ თავისუფლად მიიზიდონ რესურსები, ვინაიდან დეპოზიტებისა და კრედიტებისადმი გამოყენებულ საპროცენტო განაკვეთებს ბაზარი განსაზღვრავს.

21. 1994 წლის მესამე კვარტალში ბიუჯეტის დეფიციტის მსხვილმასშტაბიან მონეტიზაციის თუნდაც ნაწილის სტერილიზაციის მიზნით საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააძლიერა მუშაობა სარეზერვო მოთხოვნების დაცვისათვის, კერძოდ, დაუცველობისთვის ჯარიმების გადახდევინების ხარჯზე. 1994 წლის 1 სექტემბრიდან მოთხოვნები უცხოეთის ვალუტის დეპოზიტების მიმართ გაიზარდა იმ დონემდე, რომელიც გამოიყენება სამამულო ვალუტის დეპოზიტებისადმი (20 პროცენტი), ამასთან, ისინი ამჟამად ჩადებული უნდა იქნენ დეპოზიტში ან უცხოური ვალუტით, ან კუპონებით, ყოველკვირეული გადაანგარიშებით ბოლო გაცვლითი კურსის საფუძველზე, რომელიც ჩამოყალიბდა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე. შემდეგ, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა გააძლიერა მუშაობა ლიმიტების დაცვის უზრუნველსაყოფად ღია უცხოური სავალუტო პოზიციების მიმართ, რათა შემცირდეს რისკი ბანკებისათვის. საქართველოს ეროვნული ბანკი აგრეთვე აპირებს მიმართოს საერთაშორისო სავალუტო ფონდის სპეციალისტებს, რათა ისინი დაგვეხმარონ ლიკვიდურობის მართვისათვის ალტერნატიული (მაგალითად, სავალო) ინსტრუმენტების შემუშავებაში.

22. საქართველოს ეროვნული ბანკი და მთავრობა აპირებენ მჭიდროდ ითანამშრომლონ ფონდის სპეციალისტებთან „ლარად“ წოდებული ეროვნული სავალუტო ერთეულის შემოღების ვადებისა და წესის განსაზღვრის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ახალი ეროვნული ვალუტის შემოსაღებად საჭირო ტექნიკური სამუშაოები საკმაოდ წინწაწეულ სტადიაშია, ის შემოღებული არ იქნება მანამ, სანამ საქართველოში ლიკვიდირებული არ იქნება ჰიპერინფლაცია და არ ამოქმედდება მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ფასების სტაბილურობას. ამასთან დაკავშირებით, როგორც ეს აღნიშნულია 27-ე პუნქტში, ჩვენ არ ვაპირებთ მრავალი ვალუტის გამოყენებაზე გადასვლას.

23. საოპერაციო, ანალიზური და ზედამხედველობის ფუნქციების განხორციელებისათვის თავისი შესაძლებლობების განსამტკიცებლად საქართველოს ეროვნული ბანკი აპირებს მომავალშიც ისარგებლოს ფონდის ტექნიკური დახმარებით შემდეგ სფეროებში: ზედამხედველობა (კონტროლი) ეკონომიკურ ნორმატივთა დაცვისადმი; ფულად-საკრედიტო დაპროგრამება; საგადასახდელო სისტემა; საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; იურიდიული ჩარჩოების სრულყოფა; „ლარის“ შემოღების მომზადება.

IV. პოლიტიკა საგარეო სექტორის სფეროში

24. მთავრობას მიაჩნია, რომ მსოფლიო ეკონომიკაში საქართველოს ინტეგრაციის მნიშვნელოვანი პირობაა უცხოური ვალუტების ეფექტიანად მოქმედი ბაზარი. ამიტომ კუპონის საგარეო ღირებულება კვლავაც იქნება ერთი მხრივ ბანკებისა და საქართველოს ეროვნული ბანკის ლიცენზიის მქონე გადასაცვლელი პუნქტების და, მეორე მხრივ, მათი კლიენტების თავისუფალი შეთანხმების საგანი. თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟის მუშაობის სრულყოფის ინტერესებისათვის, სადაც დგინდება ოფიციალური გაცვლითი კურსი, 1994 წლის 24 სექტემბრიდან საქართველოს ეროვნული ბანკი უფრო ხშირად მართავს უცხოური ვალუტის აუქციონებს (კვირაში ორჯერ).

25. მთავრობას და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაჩნიათ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი კვლავაც უნდა ატარებდეს მოქნილი გაცვლითი კურსის პოლიტიკას, განსაკუთრებით სტაბილიზაციის პროგრამის ადრეულ სტადიაზე, როდესაც სახელმწიფოს მთლიანი საერთაშორისო რეზერვები საკმაოდ მაღალ დონეზე იდგება. ამავე დროს ნომინალური გაცვლითი კურსის მეტი სტაბილურობის დამყარება მკაფიო ნიშანი იქნება იმისა, რომ საგადამხდელო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სფეროებში მკაცრი პოლიტიკის გატარების შედეგად მიღწეულია წარმატება ინფლაციასთან ბრძოლაში და კუპონისადმი ნდობის აღდგენაში. ჩვენი ფინანსური პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოს ეროვნული ბანკის ერთიანი რეზერვების აღდგენას, რათა 1994 წლის დამლევისათვის უზრუნველყოფილ იქნეს იმპორტული დაფარვის ეკვივალენტის (იმპორტის უზრუნველყოფის კოეფიციენტი) გადაჭარბება. 2 კვირაში და 1995 წლის ივნისში ეს ეკვივალენტი აყვანილ იქნეს ოთხ კვირაზე მეტი პერიოდის დაფარვაზე, ხოლო 1995 წლის ბოლოსათვის 1,5 თვის დაფარვაზე. როგორც კი სტაბილიზაციის პროგრამის შესრულების მიმდინარეობისას მიღწეულ იქნება საკმარისი პროგრესი, მთავრობას განზრახული აქვს გადახედოს გაცვლითი კურსის გამოყენებას ნომინალური მიბმის („ნომინალური ღუზის“) სახით.

26. მთავრობას ესმის, რომ ფასების ეფექტიანი სტრუქტურის დამკვიდრებაში მთავარი როლი უნდა შეასრულოს თავისუფალი ვაჭრობის სისტემამ, რომელიც, სხვასთან ერთად, საკონკურენტო ბრძოლაში ჩააბამს სამამულო მონოპოლიებს და შეარბილებს საქონლის უკმარისობას. მთავრობამ, რომელიც ისახავს ასეთ მიზანს და მოახდინა მიმდინარე ანგარიშებზე ოპერაციების სრული ლიბერალიზაცია, უკვე მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი ზომები შორეული საზღვარგარეთის ქვეყნებთან ვაჭრობის სისტემის ლიბერალიზაციისათვის. მეორე მხრივ, ყოფილი სსრ კავშირის ქვეყნების უმრავლესობის მიმართ კვლავ მოქმედებს რეგულირებადი ვაჭრობის სისტემა, რომლის შემადგენლობაში შედის ორმხრივი კლირინგული შეთანხმებები, რომლებიც სახელმწიფო შეკვეთების სისტემას ეყრდნობიან. მთავრობას განზრახული აქვს ეტაპობრივად გააუქმოს ეს სისტემა (მისი სრული ლიკვიდაცია 1995 წლის მარტის დამლევისათვის). ამ სისტემის დემონტაჟი გულისხმობს ლიცენზირების მოთხოვნათა გაუქმებას, რომელიც, როგორც წესი, გამოიყენებოდა ეგრეთ წოდებული სტრატეგიული საქონლის მიმართ, რომლებიც საჭირო იყო ან ორმხრივ კლირინგულ შეთანხმებათა შესასრულებლად ან საშინაო მოთხოვნილებათა დასაკმაყო[illegible] აგრეთვე უკვე გააუქმა 8-პროცენტიანი [illegible] გადასახადი, რომელიც ამჟამად გამოიყენება ყველა [illegible] მიმართ, რომლის ღირებულება გამოიხატება [illegible] ვალუტით.

27. პროგრამის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში მთავრობა უარს ამბობს დააწესოს ან გააძლიეროს რაიმე შეზღუდვები მიმდინარე საერთაშორისო ოპერაციებისათვის გადასახდელებსა და გადარიცხვებზე. იგი ასევე თავს იკავებს მრავალი ვალუტის მიმოქცევაზე ამა თუ იმ მიდგომის შემოღების ან მოდიფიკაციისაგან, ისეთი ორმხრივი საგადამხდელო შეთანხმებათა დადებაზე, რომელიც ეწინააღმდეგება ფონდის შეთანხმების (წესდების) მუხლებს და იმპორტზე რაიმე შეზღუდვის დაწესებას ან მათ გაძლიერებას საგადასახდელო ბალანსის სასარგებლოდ. მთავრობა აღიარებს, რომ უცხოურ ვალუტაზე ამონაგების 32 პროცენტის აუცილებელი გაყიდვის დაწესება დროებითი იყო და, ამიტომ, აპირებს გააუქმოს ეს წესი 1995 წლის ბოლოსათვის.

28. 1994 წლის პირველ ნახევარში საქართველოს საგადამხდელო ბალანსის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა, ამასთან, მიმდინარე ანგარიშების დეფიციტი (ტრანსფერტების ჩაუთვლელად) აშშ (276) მილიონ დოლარამდე გაიზარდა, რაც დაახლოებით უდრის მთლიანი საშინაო პროდუქტის 75 პროცენტს მთლიანად წელიწადზე გადაანგარიშებით. მიმდინარე ანგარიშების მიხედვით პოზიციის ასეთი გაუარესება მიმდინარე ანგარიშებზე ისედაც დიდ დეფიციტთან შედარებით, რომელმაც 1993 წელს აშშ (320) მილიონი დოლარი, ანუ მთლიანი საშინაო პროდუქტის (42) პროცენტი შეადგინა, თურქმენეთიდან იმპორტირებული კუბმეტრი ბუნებრივი გაზის ფასის მკვეთრი გადიდების ანარეკლი იყო. ძირითადად იმ ორმხრივი გრანტებისა და თანხების ხაზით ჩვენთვის გაწეული ჰუმანიტარული დახმარება, რომლებიც მოზიდული იყო კავკასიის სასარგებლოდ გაეროს გაერთიანებული უწყებათაშორისი კამპანიის ინიციატივით, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი მოცულობის სურსათისა და სხვა სახის საარსებო საქონლის წყაროდ, მაგრამ 1994 წლის განვლილ პერიოდში საგარეო დაფინანსების მთავარ ნაწილს შეადგენდა მზარდი გაუსტუმრებელი ვალი თურქმენეთის მიერ მოწოდებული გაზისათვის. 1994 წლის პირველი (6) თვის განმავლობაში ჩამოყალიბებული ვადაგასული გადასახდელების გათვალისწინებით საქართველოს ვალმა თურქმენისტანის მიმართ 1994 წლის ივნისის ბოლოსათვის (337) მილიონი აშშ დოლარი შეადგინა. 1994 წლის ივნისის ბოლოს სახელმწიფოს მიერ გარანტირებული დავალიანების ერთობლივმა მოცულობამ აშშ (776) მილიონ დოლარს, ანუ მთლიანი საშინაო პროდუქტის (113) პროცენტს მიაღწია, ამასთან, ამ თანხიდან 180 აშშ დოლარს ვადაგასული გასაცემლები შეადგენდა. ნავარაუდევია, რომ 1995 წელს აღნიშნული დავალიანების მომსახურებისათვის საჭირო გადასახდელი თანხა მკვეთრად გაიზრდება და აშშ 300 მილიონ დოლარს გადააჭარბებს, რაც შეადგენს საქონლის ექსპორტისა და საქართველოს არაფაქტორულ მომსახურებათა ღირებულების 60 პროცენტზე მეტს.

29. მთავრობას მიაჩნია, რომ სადღეისოდ ჩამოყალიბებული საქართველოს საგარეო პოზიცია, რომელიც დაკავშირებულია საგარეო ვალდებულებათა და ვადაგასული დავალიანების მოცულობის სწრაფ ზრდასთან, უნდა აშკარად მადესტაბილიზებლად და დაუშვებლად ჩავთვალოთ. გარდა ამისა, მთავრობა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ურთიერთობათა დარეგულირებას თავის საზღვარგარეთელ კრედიტორებთან. ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი საბჭო განიხილავდეს განაცხადს საქართველოს მიერ STF ხაზით (სისტემურ გარდაქმნათა დაფინანსების მექანიზმი) კრედიტის ყიდვის შესახებ, მთავრობა აპირებს დაიწყოს მოლაპარაკებები თავის ძირითად უცხოელ კრედიტორებთან, რათა მიაღწიოს მათთან შეთანხმებას, რომ მოხდეს როგორც სახელმწიფოს ადრე ჩამოყალიბებულ სავალე ვალდებულებათა, ისე დაგროვებულ ვადაგასულ დავალიანებათა რესტრუქტურიზაცია შეღავათიანი პირობებით, მათი მომსახურებისა და დაფარვისათვის საქართველოს მეტად შეზღუდულ შესაძლებლობათა გათვალისწინებით. მთავრობა აგრეთვე აღიარებს, რომ სტაბილიზაციის პროგრამის ჩარჩოებით დაგეგმილი საშინაო რეფორმების საკმაო გაქანებისა და სიღრმის მიუხედავად, საქართველომ ახლო პერიოდში ძნელად რომ შეძლოს ვაჭრობისაგან ისეთი ოდენობის ამონაგების მიღების უზრუნველყოფა, რომელიც საკმარისი იქნება მისთვის აუცილებელი მოცულობის საარსებო იმპორტული საქონლის შესაძენად. ვეყრდნობით რა მიმდინარე პროგნოზებს (იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მიიღებს მრავალმხრივ საგარეო დახმარებას აშშ 60 მილიონი დოლარის ოდენობით) და ვვარაუდობთ რა, რომ მიღწეული იქნება არსებულ ვალდებულებათა ფუნდამენტური რესტრუქტურიზაცია, მიუხედავად ამისა პროგრამა 1995 წლის მარტის ბოლოსათვის დაკავშირებული იქნება დაფინანსების დეფიციტთან („ღრიჭოსთან“). დაფინანსებაში ასეთი მოთხოვნების ოდენობა, საგანგებო ხასიათის დაფინანსების უზრუნველყოფის შემდეგაც კი ხაზგასმით მიუთითებს, რომ საქართველომ სასწრაფოდ უნდა მოიზიდოს საერთაშორისო თანამეგობრობის რესურსები. შესაბამისი აქციის ჩატარების მიზნით მთავრობა აპირებს ითხოვოს საკონსულტაციო ჯგუფის ოფიციალური თათბირის ჩატარება მანამ, ვიდრე საერთაშორისო სავალუტო ფონდის აღმასრულებელი კომიტეტი განიხილავს საქართველოს განაცხადს STF კრედიტების შესყიდვის შესახებ.

30. 1994 წლის ივნისში ფინანსთა სამინისტროსთან შეიქმნა სახელმწიფო დავალიანების ანგარიშების მომზადების სისტემა (ფინანსთა). სამინისტრო პასუხისმგებელია პოლიტიკისათვის ახალ კრედიტებზე შეთანხმებათა დადების სფეროში, მთავრობას უზრუნველყოფს ყოველკვარტალური პროგნოზებით ასეთ შესაძლო შეთანხმებათა შესახებ მომავალი პერიოდისათვის. მთავრობა თავს შეიკავებს რაიმეს სესხებისაგან არაშეღავათიანი პირობებით, ასევე სახელმწიფო გარანტიის მიცემისაგან რაიმე კერძო კრედიტის მიმართ.

V. პოლიტიკა სტრუქტურული რეფორმების დარგში

31. მთავრობა ცნობს, რომ საჭიროა სტრუქტურული კორექტირების ზომების კომპლექსის მიღება, რომლის მიზანი იქნება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემსუბუქება, მომავალში ეკონომიკური ზრდის მტკიცე საფუძვლის უზრუნველყოფა, ხელსაყრელი ვითარების შექმნა უცხოურ ინვესტიციათა მოზიდვისათვის. ამ მიზნების მისაღწევად ჩატარდება სამუშაოები შემდეგ პრობლემებზე: ეკონომიკურ საქმიანობაში მთავრობის ჩარევის, შემდგომი შემცირება; ვაჭრობის რეფორმა; პრივატიზაციის პრობლემის დაჩქარება; საწარმოთა რეორგანიზაცია; ეფექტიანი ინსტიტუციური და იურიდიული ვითარების შექმნა. მთავრობა ამჟამად მოლაპარაკებას აწარმოებს მსოფლიო ბანკისაგან სარეაბილიტაციო კრედიტის მიღების შესახებ, რომელიც გამოყენებულ იქნება საწარმოთა რეფორმასა და პრივატიზაციასთან, ვაჭრობის ლიბერალიზაციასთან (ექსპორტის შეზღუდვის გაუქმება) და სოციალური დაცვის საშუალებების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფარავად.

32. მთავრობას მიაჩნია, რომ პურზე, გაზსა და ელექტრობაზე სუბსიდიების გაუქმებას არა მარტო კრიტიკული მნიშვნელობა ექნება ბიუჯეტის დაუშვებელი დეფიციტის შემცირებისათვის, არამედ, აგრეთვე სტიმულს მისცემს რესურსების უფრო შედეგიან განაწილებას. მიუხედავად ამისა, თავისთავად ფასების მომატება არ მოგვცემს სასურველ დადებით ეფექტს, თუ არ გადაწყდა რთული პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია „საქგაზისა“ და „საქენერგოს“ მიერ მიწოდებული გაზისა და ელექტროენერგიის ანგარიშების გადახდასთან. ამიტომ მთავრობა მიიღებს ზომებს გადახდის უზრუნველსაყოფად და, იმ შემთხვევაში, როცა ეს შესაძლებელია, წაახალისებს საწარმოებს, რომ მათ პირდაპირი კავშირები დაამყარონ საჭირო იმპორტული გაზის მომწოდებლებთან. გარდა ამისა, მთავრობა ხშირად (სულ ცოტა თვეში ერთხელ) გაზრდის მხრივ, კორექტირებას გაუკეთებს გაზისა და ელექტრობის ფასს იმ მიზნით, რომ ამ ფასებში აისახოს თვითღირებულების ნებისმიერი ამაღლება ეროვნული ვალუტის შემდგომი გაუფასურების შედეგად.

33. სადღეისოდ პრივატიზებულია საცხოვრებელი ფონდის დიდი ნაწილი და სასოფლო სამეურნეო სავარგულების მნიშვნელოვანი ნაწილი. თუმცა სასოფლო-სამეურნეო მიწის პრივატიზაცია უზრუნველყოფს მხოლოდ მიწათსარგებლობის უფლებას, მაგრამ არ იძლევა მისი გაყიდვის უფლებას. მთავრობას ესმის, მიწის საკუთრებაში გადაცემის უფლების არარსებობამ შეიძლება არამასტიმულირებელი ზემოქმედება მოახდინოს ინვესტიციებზე სასოფლო-სამეურნეო სექტორში. მიწის მფლობელობაზე (ამ ცნების სრული მნიშვნელობით) შეზღუდვების გაუქმება, სხვათა შორის, დაუშვებდა მიწის დაგირავებას საბანკო კრედიტების მისაღებად. ამიტომ მთავრობას განზრახული აქვს (1995 წლის მარტისათვის) მოხსნას მოქმედი შეზღუდვები მიწის გაყიდვასა და საკუთრებაში გადაცემაზე.

34. მთავრობას მიაჩნია, რომ სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაცია, კერძოდ, და სახელმწიფო ქონებისა მთლიანად, უზრუნველყოფს უფრო ეფექტიან რეაგირებას ბაზრის სიგნალებსა და შესაძლებლობებზე და ამდენად საქართველოს ეკონომიკის გარდაქმნის კრიტიკულად მნიშვნელოვანი ელემენტი გახდება. მთავრობას განზრახული აქვს გაზარდოს პრივატიზაციის ტემპები, ესწრაფვის რა მიაღწიოს შეთანხმებას მსოფლიო ბანკთან მოცემულ სფეროში საქმიანობის გამო. რაც შეეხება მცირე საწარმოებს, ამჟამად იქ მომუშავენი სარგებლობენ უპირატესი უფლებით, გახდნენ იმ საწარმოს კანონიერი მფლობელები, რომელშიც მუშაობენ. მათთვის ასეთი შესაძლებლობის მინიჭება, ალბათ, უკვე 1994 წლის დამლევისათვის გამოიწვევს მაღაზიებისა და სერვისის დაწესებულებების რიცხვის მნიშვნელოვან ზრდას. მთავრობა აგრეთვე აპირებს დააჩქაროს საქმიანობა საშუალო და დიდი საწარმოების პრივატიზაციისათვის. პურპროდუქტების საფქვავი და პურსაცხობი ქარხნების კომპლექსი, აგრეთვე საცალო მაღაზიები დაუყოვნებლივ უნდა იქნას პრივატიზებული. საქართველოს მოსახლეობას მიეცემა სპეციალური საგადასახადო საშუალება („ვაუჩერი“) დიდი საწარმოების აქციონირების პროცესის შესამსუბუქებლად.

35. ჰიპერინფლაციის პირობებში მთავრობის მეტად მერყევი ფინანსური მდგომარეობის გამო მთავრობას და საქართველოს ეროვნულ ბანკს მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო საწარმოთა სტრუქტურული გარდაქმნა მოითხოვს საგარეო ფინანსურ დახმარებას, აგრეთვე საკუთარი რესურსების ან არაინფლაციური დაფინანსების შინაგანი წყაროების გამოყენებას. მთავრობა და საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალში თავს შეიკავებენ ფინანსური დახმარების მიცემისაგან იმ საწარმოებისა და საფინანსო დაწესებულებებისათვის, რომლებიც გაჭირვებას განიცდიან.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინფორმაცია

ავცრათ ბავშვები!

რესპუბლიკაში ფართოვდება დიფთერიის გავრცელების გეოგრაფია. თბილისი, ბათუმი, სენაკი, ქარელი, მარტვილი, ბოლნისი, საგარეჯო, მარნეული, ახალგორი — აი, არასრული ნუსხა ქალაქებისა, საიდანაც მიღებულია საშიში სიგნალები. არასრული მონაცემებით წლეულს დაფიქსირებულია საშიში სენით დაავადების 70-ზე მეტი შემთხვევა, მაშინ როცა შარშან იყო დაახლოებით 25.

— პროგნოზები არ გვაიმედებს, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს რესპუბლიკური სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის მთავარი ექიმის მოადგილემ მიხეილ ელიკაშვილმა, — შეიმჩნევა დაავადების გავრცელების ტენდენცია, ამიტომ, დაბეჯითებით ვურჩევთ მშობლებს დაუყოვნებლივ მიმართონ რაიონულ პოლიკლინიკებს და აცრან ბავშვები. საჭიროა რევაქცინაცია გაუკეთდეს როგორც რვა წელს გადაცილებულ ბავშვებს, ისე მოზრდილებსაც.

საშემოდგომო არდადეგები გადატანილია

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებით ნება დაერთო ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებს (სამმართველოებს) ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სკოლა-ინტერნატებსა და პროფტექსასწავლებლებში განაგრძონ სასწავლო პროცესი მიმდინარე წლის 24-30 ოქტომბრისათვის დაგეგმილ საშემოდგომო არდადეგების პერიოდში და აღნიშნული დღეები დაუმატონ საზამთრო არდადეგებს.

განაჩენი მოყვანილია სისრულეში

თბილისის საქალაქო სასამართლომ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა შეუფარდა 1953 წელს დაბადებულ, განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად ცნობილ სერგო თბილოვს, რომელმაც ეჭვიანობისა და შურისძიების მოტივით დანით მოკლა მოქალაქე ავნიაიანი. რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო კოლეგიამ განაჩენი უცვლელად დატოვა ძალაში.

განაჩენი სისრულეშია მოყვანილი.

„იბერიის" ლენტიდან

წალენჯიხა. ამ დღეებში საერთაშორისო წითელი ჯვრის და წითელი ნახევარმთვარის მიერ წალენჯიხაში შემოზიდულია სხვადასხვა დასახელების პროდუქტები (შაქარი, ზეთი, კარაქი, პურის ფქვილი, საპონი და სხვ.) ლტოლვილებისთვის. ამჟამად წალენჯიხაში 10 ათასი ლტოლვილია და მათი რიცხობრივი მაჩვენებელი თანდათან მატულობს. ლტოლვილები, რომლებიც აფხაზეთში დაბრუნებას ელოდებიან, საქართველოს სხვა რაიონებიდან ჩამოდიან წალენჯიხაში.

თბილისი. 18 ოქტომბერს სრულიად საქართველოს ადამიანთა უფლებების დაცვის ასოციაციის ოფისში მოშიმშილე გ. კერვალიშვილს ეწვია ევროთათბირის მისიის წარმომადგენელი ადამიანის უფლებების დაცვის დარგში ქ-ნი ნორმა ჰამბი. ასოციაციის პრეზიდენტმა სტუმარს გააცნო შიმშილობის მიზანი და გადასცა მოთხოვნათა პაკეტი. ნ. ჰანსმა თავის მხრივ დაინტერესება გამოთქვა და განაცხადა, რომ ევროთათბირი გულისხმიერად მოეკიდება ჩამოყალიბებულ მოთხოვნებს.

გთავაზობთ!
საწერ, საბეჭდ, ქსეროქსის, პრინტერის, სარედაქციო ფორმატების და ფიზური წარმოების სატიტულე ბლანკების
ქაღალდს
ადგილზე მიწოდებით. ანგარიშსწორება, როგორც ნაღდზე, ასევე გადარიცხვით
☎ 38-91-64

ახალგაზრდობა — იმედი ხვალის!

დედოფალი — სერვანტესის მფარველი

ესპანეთისადმი ინტერესი საქართველოში ჯერ კიდევ შუა საუკუნეებიდან არსებობდა. XI საუკუნეში ქართველებმა ექსპედიციაც კი მოაწყვეს ესპანეთში. ძველ ქართულ ლიტერატურულ ძეგლში — „ცხოვრება გიორგისა და ექვთიმესი" ვკითხულობთ: „მაშინ მამაჲან ჩუენმან იოვანემ ალიხუანა რავდენიმე მოხწავლენი და ივლტოდა შპანიად, რამეთუ ასმიოდა არამცირედნი ერნი და ნათესავნი ქართველთა მკვიდრნ არიან მუნ".

— დაინტერესება ესპანეთით, მომდევნო საუკუნეებშიც მომდინარეობდა და საკმაოდ შთამბეჭდავი ისტორიაც არსებობს, — ამბობს შადიმან ბიწაძე, საქართველოს სერვანტესის საზოგადოების თავმჯდომარე. — მით უფრო დასანანია, რომ ჩვენში, მეოცე საუკუნის მიწურულს, ეს ინტერესი საკმაოდ შენელებულია. ესპანურ კულტურას, ენას, ისტორიას სათანადო პოპულარიზაცია არ ეწევა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და არც სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ასევე ლათინური ამერიკის მიმართ, შეწყვეტილია ბასკურ-კავკასიური პრობლემის კვლევა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც თბილისიდან წავიდა იური ზიცარი, ბასკეთის სამეფო აკადემიის ნამდვილი წევრი (იგი თბილისში კუიბიშევიდან ჩამოვიდა ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ).

ქართულ-ესპანური ურთიერთობების გაღრმავების სურვილმა უბიძგა შადიმან ბიწაძეს საქართველოში დაეარსებინა სერვანტესის საზოგადოება, რომლის ანალოგიც მსოფლიოს ნებისმიერ ცივილიზებულ სახელმწიფოში არსებობს. საგულისხმოა, რომ სერვანტესის საზოგადოების საპატიო თავმჯდომარე მსოფლიოში არის ესპანეთის დედოფალი სოფია, რომელიც თავის ქვეყანაში კულტურის სფეროს კურატორია.

ორი წლის წინათ ოფიციალურად გატარდა რეგისტრაციაში საქართველოს სერვანტესის საზოგადოება. ეს არის არაპოლიტიკური, წმინდა კულტურულ-საგანმანათლებლო ხასიათის საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს ესპანური კულტურის პოპულარიზაციას, ესპანურენოვანი და მსოფლიო ლიტერატურის შედევრების თარგმნას და გამოცემას საქართველოში.

შადიმან ბიწაძე — 35 წლისაა, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი მსოფლიო ისტორიის სპეციალობით, ამჟამად თსუ კულტურის კათედრის (გამგე პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე) მასწავლებელია, ესპანეთისა და ლათინური ამერიკის ისტორიისა და კულტურის კურსს უკითხავს სტუდენტებს. პროფესორ ილია ტაბაღუას ხელმძღვანელობით მუშაობს საკანდიდატო დისერტაციაზე, რომელიც ეხება ეროვნულ საკითხებს ესპანეთში, კერძოდ ბასკეთის პრობლემას. გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო სტატიები, სულ მალე გამოვა მისი წიგნი — „სიმონ ბოლივარის ცხოვრება" (ლათინური ამერიკის განმათავისუფლებელი წარმოშობით ბასკი იყო—გ. ლ.). დისერტაციის დაცვის შემდეგ შადიმან ბიწაძის სურვილია სწავლა განაგრძოს მადრიდის დიპლომატიურ აკადემიაში. ესპანური ენა მან ისწავლა თბილისში მცხოვრები აწ განსვენებული ბასკი სენიორას, მარტინა მინტეგი ბილბაო-გოგიჩაიშვილის დახმარებით.

— სერვანტესის საზოგადოება ჯერჯერობით მცირერიცხოვანია, ჩვენ გვინდა ესპანური კულტურის ჭეშმარიტი დამფასებლები გავაერთიანოთ, ვაპირებთ საზოგადოების ფილიალების შექმნას საქართველოს სხვადასხვა მხარეში. უკვე გვაქვს ასეთი ფილიალები ბათუმში, ქუთაისში, ოზურგეთსა და დედოფლისწყაროში.

საზოგადოების წესდება ითვალისწინებს სტუდენტთა გაგზავნას ესპანეთში, ორი სტუდენტი უკვე გავგზავნეთ ბილბაოს უნივერსიტეტში, სადაც ისინი ბასკურ ენას დაეუფლებიან. თსუ კულტურის ისტორიის კათედრაზე კი შეიქმნა სტუდენტთა სპეციალური ჯგუფი (15 სტუდენტი), რომლებიც სწავლობენ ესპანეთის ისტორიას, კულტურას, ენას, მათ დაემატა ლათინური ამერიკის ჯგუფი (5 სტუდენტი), სასიამოვნოა, რომ ეს ახალგაზრდები არჩეულ სპეციალობას ძალზე ბეჯითად სწავლობენ, სამეცნიერო კონფერენციებზე ერთობ სერიოზული და აქტუალური თემებით გამოდიან.

სერვანტესის საზოგადოების შექმნისთანავე დღის წესრიგში დადგა გამომცემლობის დაარსების საკითხი. ამ საქმეში შადიმანს თავიდანვე გვერდში დაუდგა სტუდენტობის მეგობარი ვაჟა შუბითიძე, რომელიც ახლა სერვანტესის საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე და გამომცემლობა „ირმისას" დირექტორია.

იგი არის ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, ავტორი წიგნისა „საქართველოს დიდი მეფეები", რომელიც გამოსვლის უმალ გაქრა წიგნის მაღაზიის თაროებიდან, მალე მკითხველი მიიღებს ამ წიგნის მეორე გამოცემას.

— „ირმისას" ძირითადი მიზანია ე. წ. ელიტარული წიგნების (უცხოური და ქართული) გამოცემა. უკვე გამოვეცით პლატონის „ტიმეოსი", მკითხველი მალე მიიღებს ჰენრიკ იბსენის დრამების ორტომეულს. ნოემბერში კი წიგნის ბაზარზე გამოვა სერვანტესის „დონ-კიხოტი" (ორ ტომად), სამივე წიგნის ბრწყინვალე თარგმანი ეკუთვნის ბატონ ბაჩანა ბრეგვაძეს.

შადიმან ბიწაძე: — ბუნებრივია, სერვანტესით უნდა დაგვეწყო, მით უმეტეს, რომ ქართველებს დღემდე არ გვქონია ორიგინალიდან თარგმნილი „დონ-კიხოტი" (ადრინდელი გამოცემები ფრანგულიდან და რუსულიდან იყო შესრულებული). ვიცოდით, რომ ბატონ ბაჩანა ბრეგვაძეს კარგა ხანია ჰქონდა ორიგინალიდან თარგმნილი „დონ-კიხოტი". მან ამ თარგმანში ორი წლის წინათ პარიზში, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის პრემიაც მიიღო. საჭირო იყო მოძებნა ქველმოქმედისა, ვინც ამ წიგნის გამოცემას დააფინანსებდა. თბილისში ამაო ძებნის შემდეგ გადავწყვიტეთ ჩავსულიყავით ბათუმში და ბატონ ასლან აბაშიძისათვის გაგვეცნო ჩვენი ჩანაფიქრი, მაშინ ბატონ ბაჩანა ბრეგვაძეს ჯერ კიდევ არ ვიცნობდით, აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ გულთან ახლოს მიიტანა ეს საქმე, იგი დაინტერესდა „დონ-კიხოტის" ქართულად გამოცემით და ღირსეულად შეასრულა დაპირება.

ვაჟა შუბითიძე: — სხვათა შორის, „დონ-კიხოტის" ბოლო მადრიდული აკადემიური გამოცემის ფორზაცზე არის მითითებული დედამიწაზე არსებული ყველა ენა და ქვეყანა, სადაც და რომელ ენაზეც გამოცემულა ეს გენიალური ქმნილება... ირკვევა, რომ იგი თითქმის ყველა კულტურულ ენაზეა თარგმნილი ორიგინალიდან ქართულის გარდა, ჩვენ ამ ხარვეზის შევსება დავისახეთ და სასიამოვნოა, რომ ბატონ ასლან აბაშიძის მხარდაჭერით ეს კეთილი საქმე უკვე გასრულდა.

შადიმან ბიწაძე: — ეს წიგნი გაეგზავნება ესპანეთის სამეფო ოჯახს, ესპანეთის მეცნიერებათა აკადემიასა და სერვანტესის სახლ-მუზეუმს, სადაც ინახება „დონ-კიხოტის" ყველა გამოცემა, რომელიც ოდესმე დაბეჭდილა მსოფლიოში. აქვე თხოვნა გვექნება ბატონ გოჩა ჩოგოვაძესთან, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან საფრანგეთსა და ესპანეთში, რომ ეს ინფორმაცია მიაწოდოს ესპანეთის სამეფო ოჯახს. იმედი გვაქვს, თბილისში მალე გაიხსნება ესპანეთის საელჩო და მაშინ ჩვენი საზოგადოების მუშაობა უფრო მრავალფეროვანი და ნაყოფიერი იქნება.

ვაჟა შუბითიძე: — სერვანტესის საზოგადოებამ და გამომცემლობა „ირმისამ" თსუ ისტორიის ფაკულტეტზე დააწესა პრემიები სამეცნიერო კონფერენციაზე გამარჯვებული სტუდენტი ავტორებისათვის, ვინც კი ესპანეთის თემებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს. მსგავსი პრემიების დაწესებას ვაპირებთ ბათუმის უნივერსიტეტშიც, რომელიც მზარდი უმაღლესი სასწავლებელია, სხვათა შორის, აქ პედაგოგიური მოღვაწეობის დასაწყებად დაბრუნებას აპირებენ ბილბაოს უნივერსიტეტში ჩვენი საზოგადოების ევიდით გაგზავნილი ახალგაზრდები.

გამომცემლობას ბევრი საინტერესო ჩანაფიქრი აქვს, შარშან ესპანელმა პროფესორმა ფერნანდეს ხილმა გამოსცა უნიკალური წიგნი „ქართული საისტორიო წყაროები ესპანეთის არქივებში", რომელიც თბილისში პროფესორმა ილია ტაბაღუამ ჩამოიტანა. ეს ცნობები ქართველი საზოგადოებრიობისათვის სრულიად უცნობია, სასურველია, რომ ეს წიგნი ჩვენი გრიფით გამოიცეს. ქართულ ენაზე არ გამოცემულა „ესპანური ენის თვითმასწავლებელი", ჩვენ დავეხმარებით გამოცემაში, თუკი ვინმე ამით დაინტერესდება, ასევე საჭიროა გამოიცეს ქართულ-ესპანური და ესპანურ-ქართული სასაუბროები და ლექსიკონები.

„ირმისას" მხარში უდგას ასლან აბაშიძის ფონდი, ჩვენი ნაყოფიერი თანამშრომლობა კვლავ გრძელდება.

შადიმან ბიწაძე: — თითქოს ყველაფერი კარგად მიდის ჩვენს საქმიანობაში, ჩანს კარგი პერსპექტივაც, მაგრამ დღემდე არა გვაქვს საკუთარი ოფისი, მთავრობას ვთხოვეთ ჩვენთვის იჯარით გადმოეცათ მაღაზია, სადაც გამომცემლობა „ირმისას" დაბეჭდილი წიგნები გაიყიდება. ჯერჯერობით პასუხი არ მიგვიღია.

სერვანტესის საზოგადოება, მისი თავკაცები შადიმან ბიწაძე და ვაჟა შუბითიძე ბევრ საინტერესო და სასარგებლო საქმეს არიან შეჭიდებული და გვჯერა, ცოდნასა და ენერგიას არ დაიშურებენ, რათა გენიალური სერვანტესის სახელთან დაკავშირებული საზოგადოება ღირსეულად წარმოჩნდეს ჩვენში, მათ ხომ არაერთი ჩანაფიქრი აქვთ, უნდათ, რომ თბილისში გაიმართოს ესპანური კულტურის დღეები, საშურ საქმედ მიაჩნიათ ასევე ესპანელ ბიზნესმენთა მოზიდვა საქართველოში.

ჩვენ ისღა დაგვრჩენია ამ შესანიშნავ ახალგაზრდებს წარმატებები ვუსურვოთ მამულიშვილურ საქმეში.

გიორგი ლალიაშვილი.

• • •

სურათზე: შადიმან ბიწაძე (მარჯვნივ) და ვაჟა შუბითიძე. (მარცხნივ).

ჯავარ ლომაძის ფოტო.

მებაჟის პიკის საათი

მდგომარეობა ქვეყნის აღმოსავლეთ ეკონომიკურ საზღვრებზე

ახალგაზრდა, ენერგიული კაცია თბილისის საბაჟოს უფროსი რეზო ჭიჭონელიძე.

დღეს საქართველოში საბაჟო ის ადგილია, სადაც პიროვნების კომპრომეტირებაზე იოლი არაფერი არ არის, თანაც, იმ საზოგადოების თვალში, კუპონების ჭაობში რომ იხრჩობა, დოლარებით ჯიბეგამოტენილი მებაჟე ერთ-ერთი ყველაზე უზრუნველყოფილი ადამიანია.

როგორც ყველაფერი, საბაჟოც თავისი დროის შვილია. ათასი პრობლემა დაუგროვდა, ლამის ჯვარს ეცვას. დაცარიელებული ხაზინა შემივსეო — მოითხოვს სახელმწიფო, შიმშილით ვკვდები, მუშაობა დამაწყებინეო — იხვეწება მავანი, იქ მილიონებს აკეთებენო — ცეცხლზე ნავთს ასხამს ჩვენებური ინტრიგანი.

საბაჟოს ფიგურალურად სახელმწიფოს ეკონომიკურ საზღვარს უწოდებენ. ტყუილად არ ფიქრობენ, რომ ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღებას საბაჟოების გამართული მუშაობაც უნდა მიეშველოს; ამას გარდა, ჩინური კედელივით აეფაროს ათასი ჯურის კონტრაბანდისტისა და ნარკობიზნესმენის შემოტევას, მათ მსახვრალ ხელს აარიდოს უსაზღვრებო, დაუცველი ქვეყანა.

ბატონ რეზოს თბილისის საბაჟოს ახალ ოფისში ვეწვიე. აეროპორტიდან დიდუბეში გადმოვიდნენ. ხელოსნები იმ ოთახს არემონტებდნენ, სადაც უახლესი კომპიუტერული ტექნიკა დაიდგმება. სხვა რომ არ იყოს, ესეც წინგადადგმული ნაბიჯია...

თბილისის საბაჟოს მოხელეები აღმოსავლეთ საქართველოს კარიბჭეებთან — ყაზბეგი, წითელი ხიდი, ლაგოდეხი, გარდაბანი, დედოფლისწყარო, სიღნაღი, აგრეთვე თბილისის აეროპორტი — დგანან. მებაჟეთა რიცხვი ორი წლის წინათ ერთ ასეულს არ აჭარბებდა, დღეს კი — 360-ს აღწევს.

— ეს რაოდენობაც არ არის საკმარისი, — დაასკვნის საბაჟოს უფროსი, — მაგრამ ჩვენი სამსახური, ასე ითქმის, ჯერ ჩამოყალიბების სტადიაშია. ვცდილობთ ოპტიმალურად სანდო და კეთილსინდისიერი ხალხი მოვიზიდოთ. თუ კონტინგენტი ხარისხობრივად არ გაიზარდა, რაოდენობრიობა რის მაქნისია!

— ნათქვამი იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ბევრი მოხელის მიმართ სერიოზული პრეტენზია გაქვთ?

— ალბათ, ასეც შეიძლება გავიგოთ. ხალხის გულისწყრომა ხანდახან მკაცრია, მაგრამ სამართლიანიც. არაიშვიათად ვაწყდებით სამსახურებრივი გულგრილობის, დაუდევრობის, ქრთამის აღების, გამოძალვის შემთხვევებს. ამიტომაც, 1993-94 წლებში, 120-ზე მეტი მოხელე დავითხოვეთ სამუშაოდან. საბაჟო ნახევრად გასამხედროებული ორგანიზაციაა. თითოეული მუშაკი დისციპლინით უნდა გამოირჩეოდეს. ასე რომ, თუ კაცს დანაშაულის ჩადენაში, არაკეთილსინდისიერებაში ვამხელთ, პროტექტორად თუნდაც მამა-ღმერთი მოევლინოს, არ დავინდობთ.

— ამბობენ, თითქოს თქვენთან „ჩაუწყობლად" შეუძლებელია მუშაობის დაწყება.

— ესეც ჩვენებური ინტრიგანის მოჭორილია. შემამოწმონ, საბაჟოში საზოგადოების ყველა ფენის ადამიანი მუშაობს, სხვათა შორის „უპატრონოც". მართალია, ზოგჯერ ვისიმე რეკომენდაციითაც ვიღებთ ხალხს, მაგრამ ამას „ჩაწყობას", ვერ დავარქმევთ. ეს „რეკომენდაციანებიც" დაამტკიცებენ თუ არა რამეს, იმდღესვე იკრავენ გუდა-ნაბადს და თავისი გზით მიდიან.

• • •

— ბატონო რეზო, მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ სხდომაზე, 25 სექტემბერს, სახელმწიფოს მეთაურმა გამოთქვა უკმაყოფილება, რომ საბაჟოები არ ასრულებენ მინისტრთა კაბინეტის № 888 დადგენილების ზოგიერთ პუნქტს, რომელიც გადასახადების აკრეფით ბიუჯეტის შევსებას ითვალისწინებს. სხვათა შორის, მან თქვენი სამსახურიც მოიხსენია.

— თავიდანვე გეტყვით, რომ წლეულს, 9 თვეში თბილისის საბაჟომ სახელმწიფო ბიუჯეტში 119 ათასი დოლარი, 55 მილიონი მანეთი და 420 მილიარდი კუპონი შეიტანა.

ეს შენატანი გაცილებით დიდი იქნებოდა, ზოგიერთი იურიდიული და ტექნიკური საკითხი რომ მოეგვარებინათ. ხსენებული დადგენილება საბაჟო მომსახურების გადასახადს განსაზღვრავს, რომელიც ისევ საბაჟოს სისტემაში რჩება და არაფერი არა აქვს საერთო ბიუჯეტთან. თბილისის საბაჟო იმ დირექტივებს ასრულებს, რასაც საბაჟო დეპარტამენტი შეიმუშავებს ხოლმე. 1993 წლის 24 ივნისის ერთ-ერთი ასეთი დირექტივით თუ ბრძანებით, შეაჩერეს ფიზიკური პირის ქონების საბაჟო მოსაკრებლით დაბეგვრა. ამას არა ერთი და ორი მიზეზი ჰქონდა: არ ხდებოდა დსთ-ს ქვეყნების მოქალაქეთა დეკლარირება საქართველოს საზღვრებზე, თანაც, შემოსული თანხის შენახვისა და ინკასაციისათვის საბაჟო პუნქტებს არ გააჩნდათ ელემენტარული პირობები — ტექნიკური საშუალებებისა და სათავსოთა ჩათვლით.

ახლა, ყაზბეგსა და წითელ ხიდზე დავიწყეთ საბაჟო პუნქტების მშენებლობა, რომელსაც, იმედი გვაქვს, 1 ნოემბრისათვის დავასრულებთ. თუ სათანადო დადგენილებაც გვექნება, ამ მოსაკრებლების აკრეფას, შენახვასა და ინკასაციასაც მოვახერხებთ.

საგანგაშოა, რომ დღესაც სახელმწიფო საბჭოს მიერ დამტკიცებული საბაჟო კოდექსით ვმუშაობთ, რომელიც პირწმინდად რუსულიდან არის გადმოწერილი; ნორმალურად ისიც არ არის განსაზღვრული, რამდენი ვალუტის გადატანა შეუძლია მოქალაქეს საზღვარზე. დღეს, როცა საფინანსო-საბანკო სისტემა, უცხოეთის ქვეყნებთან საფინანსო ოპერაციები, ფაქტობრივად, პარალიზებულია, მსგავსი გაურკვევლობა დამატებით პრობლემებს გვიქმნის. დღეისათვის რამდენიმე ნორმატიული დოკუმენტი მთავრობაში ელოდება დამტკიცებას, მაგრამ ჯერჯერობით მათი ბედი გაურკვეველია.

— დღეისათვის, რა და რა გადასახადს იხდიან საბაჟოში?

— ამ საკითხს როგორღაც არეგულირებს სახელმწიფო დეკრეტი საბაჟო გადასახადის შესახებ. საიმპორტო ოპერაციებისათვის ორ პროცენტს იხდიან, საექსპორტოსათვის — რვას, დამატებითი ღირებულებისათვის — თოთხმეტს; თუ ტვირთი დსთ-ს ქვეყნებში მიდის, პატრონი მხოლოდ მოსაკრებელს — 0,2 პროცენტს გადაიხდის...

● ერთად უნდა ვებრძოლოთ ●

თბილისის საბაჟოს მრავალი დებიტორი ჰყავს. მათი უმრავლესობა, ჩვეულებრივ, სახელმწიფო საწარმო-დაწესებულებებია. მარტო რუსთავის ცემენტის ქარხანას 347 მილიარდი კუპონის ვალი დაუგროვდა. უკეთეს დღეში არც აზოტის საწარმოო გაერთიანებაა.

— სხვა გზა რომ არ არის, „აზოტსა" და „ცემენტს" აღარ ვუფორმებთ საექსპორტო-საიმპორტო ტვირთებს,— დასძენს ბატონი რეზო, — დიდი ხანია აღარ ვემსახურებით. საქმეს საბანკო სისტემის მოუწესრიგებლობაც ართულებს. ზოგი დაგვიანებით გვირიცხავს თანხას და ჩვენამდე დიდი ხნის შემდეგ აღწევს.

დებიტორებთან ურთიერთობის საკითხი, ალბათ, მთავრობის ჩარევით უნდა გადაწყდეს. სახელმწიფოს ბევრი მათგანის ვალი აქვს. ამ შემთხვევაში, ურთიერთჩათვლების პრაქტიკა დიდად წაადგებოდა საქმეს.

დღეისათვის, როგორღაც მოვახერხეთ 17,5 მილიარდი კუპონის ვალის დაბრუნება, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია.

— კერძო სტრუქტურები პატიოსანი პარტნიორები არიან?

— წესით ყველა კომერციულმა სტრუქტურამ საბაჟოში უნდა გაიაროს რეგისტრირება, მაგრამ, ეტყობა, არ აკეთებენ ამას, რადგან ზოგიერთ მევალეს სანთლით ვეძებთ და ვეღარ ვპოულობთ. ფიზიკურად არ არსებობენ და რას ვიპოვით?! ახლა ხელთა მაქვს ასეთი ფირმების გრძელი ნუსხა, რომელსაც სამართალდამცავ ორგანოებს გადავცემთ.

საბაჟო სამართალდამცავ ფუნქციასაც ასრულებს. განა ცოტაა საზღვარზე კონტრაბანდის გზით, სხვადასხვა აკრძალული ტვირთის გადატანა-გადმოტანის მსურველი? წლეულს, თბილისელმა მებაჟეებმა დელი-თბილისის თვითმფრინავზე 7 ათასი ამპულა „ნორფინი" დააკავეს, აგრეთვე 16 ხალიჩა, 20 ათასი ბოთლი უსაბუთო „კონიაკი"; თბილისი-თელ-ავივის თვითმფრინავით კი 1 კილოგრამი ოქროს ნაკეთობების გატანას აპირებდნენ. პრაღა-თბილისის რეისზე აგრეთვე ამოვიღეთ რამდენიმე ცეცხლსასროლი იარაღი და ვერცხლის ნივთები.

— დიდი სამდურავი უნდა ვუთხრათ საქართველოს რკინიგზის დეპარტამენტის მესვეურთ. ვერა და ვერ მივაღწიეთ, რომ აზერბაიჯანის მატარებლები საბაჟო შემოწმებისათვის გარდაბნის სადგურში გააჩერონ. სწორედ რკინიგზელთა მიზეზით არ ხერხდება რესპუბლიკაში შემოსული ათასობით ტონა ტვირთის დეკლარირება. ამის გამო არ ვიცით, რა მოცულობის საიმპორტო ოპერაციები გაკეთდა დსთ-ს ქვეყნებთან. ასე დამალულად გაიტანეს 9 ცისტერნა „ბორჯომი". არადა, ტვირთის გატანა თუ შემოტანა მხოლოდ საბაჟო დეკლარირების შემდეგ უნდა ხდებოდეს. რა გვექნა, საქმე პროკურატურას გადავეცით.

— კი მაგრამ, ამ პროცესის მარეგულირებელი რაიმე კანონი არ არსებობს?

— კანონი არის, ოღონდ არ სრულდება...

ფირმა „ინტერკომმა" დეკლარირების გაუკეთებლად გაიტანა 58 ავზი საწვავი.

სახელმწიფოს მეთაურის № 67 განკარგულებით, რესპუბლიკაში შემოსული ნავთობპროდუქტების 10 პროცენტი სახელმწიფოს უნდა გადაეცეს. საბაჟომ საგადასახადო სამსახურს უნდა მიაწოდოს ინფორმაცია, საგადასახადომ — ნავთობპროდუქტების სახელმწიფო კონცერნს. მავანთა მიზეზით, ეს განკარგულებაც, ძირითადად ქაღალდზე რჩება.

— ბატონო რეზო, არაიშვიათად საბაჟოში უცხოელ ინვესტორებს სიჯას აცლიან, აყოვნებენ. ეს მათ სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს.

— არის მსგავსი ფაქტები. ეს განსაკუთრებით აეროპორტში ხდებოდა. შაბათ-კვირას ვერ ვაფორმებდით ტვირთებს. ახლა ყოველდღიურ სამუშაო ცვლაზე გადავედით. ყველამ იცოდეს: 24 საათის განმავლობაში აეროპორტში ზის მორიგე-მებაჟე. ის აღარ დაგაბრკოლებთ, დღე-ღამის ნებისმიერ დროს გაგიფორმებთ ტვირთს.

საგუშაგოებზე ყველაზე მეტად კერძო სატვირთო ავტომანქანების მფლობელები დაობენ. ვთქვათ, გადააქვთ ციტრუსი, ღვინო. ლიცენზია აქვთ, საბაჟო დეკლარირების საბუთი კი — არა. საჭიროა ყველამ იცოდეს, რომ საქონელი ჩვენთან, დიდუბეში და აეროპორტში უნდა გააფორმონ. ვიცი, ეს ყველასათვის არ არის მოსახერხებელი. ამიტომ ექსპერიმენტის სახით, ამ ოპერაციის გასაიოლებლად, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში დავსვით 2 მებაჟე. სხვა სამსახურებს ასეთივე სურვილი თუ აქვთ, გაუფორმებთ ანალოგიურ ხელშეკრულებებს, ოღონდ ერთი პირობით — ჩვენს მუშაკებს კომპიუტერი უნდა შეუძინონ.

• • •

საბაჟოს უფროსის შეშფოთების საგანს მებაჟეთა და საბაჟო პუნქტების უსაფრთხოების პრობლემაც წარმოადგენს. — წითელ ხიდზე აზერბაიჯანის შეიარაღებული ფორმირებები შემოიჭრნენ. საბაჟო დაარბიეს. ასეთი ფაქტები მრავლად არის. დაუდგენელია საზღვრები ჩვენს მეზობელ რესპუბლიკებთან. ამის გამო გამუდმებულ დავასა და კამათში ვართ. უწინარესად, სახელმწიფო საზღვრის შესახებ კანონი უნდა მივიღოთ. ეს ჩვენს სასაზღვრო ჯარებსაც გაუიოლებდა საქმიანობას.

კარგად ვერ მიდის საქმე აეროპორტშიც. უტექნიკობის გამო, იძულებული ვართ, უკლებლივ ყველა მგზავრი გავჩხრიკოთ. ეს კი აღიზიანებს მათ. აეროპორტში წესრიგიც მოიკოჭლებს. შიდა ტერიტორია დაუცველია, უამრავი მოქალაქე დაუბრკოლებლად შედის და გამოდის. აეროპორტი სასაზღვრო ჯარმა უნდა ჩაკეტოს — უცხო პიროვნებამ არ უნდა გაიჭაჭანოს ტერიტორიაზე.

• • •

დაბოლოს, აკმაყოფილებს თუ არა ელემენტარულ მოთხოვნებს ჩვენი მებაჟის კულტურა, ქცევის წესი? — რასაკვირველია, არა, — მიპასუხა საბაჟოს უფროსმა, — ჩვენთან ხომ მებაჟეობას არც ოჯახში ასწავლიან და არც ინსტიტუტში! როგორღაც მოვახერხეთ და დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის გურამ მამულიშვილის, აგრეთვე ამერიკის საელჩოს ხელშეწყობით (დიდი მადლობა მათ ამისთვის), 6 თანამშრომელი მივავლინეთ ოკეანის გაღმა სტაჟირებაზე. თუმცა, ეს რა არის, ჩვენს ჭირს რას უშველის?!

გეთანხმებით, ბევრი მებაჟე ხელმრუდობს, რომელსაც ვერაფრით გაამართლებ; მაგრამ მათ ანაზღაურებასაც შეხედეთ — 1,5-2 მილიონი კუპონი აქვთ. შედრება ეს ამერიკელის 3-4 ათას დოლარს?

კონტრაბანდის დაკავებისას, მებაჟისათვის ტვირთის ღირებულების 25 პროცენტი უნდა მიეცათ. ესეც არ მოხერხდა, სანამ პროკურატურა ან უშიშროების სამსახური საქმეს განიხილავენ, დიდი დრო მიდის.

რუსეთში რომელი მებაჟეც ფერად ლითონს დააკავებდა, ტვირთის ღირებულების 25 პროცენტს აძლევდნენ. წარმოიდგინეთ, მისცათ ამან შედეგი. კონტრაბანდისტს ხელს არ აძლევს მებაჟისათვის ამოდენა ქრთამის მიცემა, რაღას მოიგებს? სახელმწიფომ კი ამით ასობით ტონა ფერადი ლითონი დაიბრუნა.

მინდა, მივმართო სამართალდამცავ ორგანოებს: შენიშნავენ ხელმრუდობაში ჩვენს თანამშრომელს, ნუ დაინდობენ, ან ჩვენ ჩაგვაყენონ საქმის კურსში და მივხედავთ.

ასე, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ იდგამს ფეხს თბილისის საბაჟო. შეიძინეს კომპიუტერები, ფაქსები, ავტომანქანები... სამსახურში ფორმით დადიან.

იმედს ვიტოვებთ, რომ თბილისელი მებაჟეები იმ მოარულ ჭორებსაც გაფანტავენ და საქართველოს ეკონომიკურ საზღვარს ჭეშმარიტი პატრონი ეყოლება.

ზაურ მაკარაძე.

სანთელ [illegible]

თორნიკე ქურდაძე



კიდევ ერთი უსაზღვრო ტკივილი განიცადა საქართველოს მაშველთა კორპუსმა, კიდევ ერთი ვაჟკაცი შეეწირა საქართველოს და კიდევ ერთი ოჯახი შეიმოსა ძაძებით — სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, 1994 წლის 16 ოქტომბერს, ცხინვალის რეგიონში ერთობლივ ქართულ-ოსურ მაფიოზურ დაჯგუფებასთან შეტაკებისას დაიღუპა საქართველოს მაშველთა კორპუსის ოპერატიული სამმართველოს უფროსი თორნიკე რევაზის ძე ქურდაძე. ამ ბანდიტური ჯგუფის გამოვლინების ოპერაციასაც თვითონვე უძღვებოდა.

თორნიკე ქურდაძე დაიბადა 1968 წელს, თბილისში. დაამთავრა თბილისის 115-ე საშუალო სკოლა. იყო თბილისის მართვის ინსტიტუტის მეოთხე კურსის სტუდენტი. ამ ანკეტური მონაცემების მიღმა, მის მხრებზე აფხაზეთის ომის ტრაგედია იწვა.

თორნიკე ქურდაძის მამაცობაზე ამ ომში, მის ავტორიტეტზე ჯარისკაცებთან, ბრწყინვალედ ჩატარებულ ოპერაციებზე დღესაც ბევრს საუბრობენ და უპირველეს ნიშნად კლდესავით ვაჟკაცის პორტრეტი იხატება — გამჭრიახი და თავდადებული მეომრის ხასიათით შეჭრელებული ვაჟკაცის დაუვიწყარი სახე.

მხედრული მამაცობისათვის თორნიკე ქურდაძე დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხის ორდენით.

სულ ახლახან, ტრაგიკულ 16 ოქტომბრამდე, რამდენიმე დღით ადრე, თორნიკე ქურდაძე უშუალოდ ხელმძღვანელობდა თბილისის ხატელევიზიო ანძაზე გაჩენილი ხანძრის ლიკვიდაციას.

მრავალი სხვა ნახიკეთო გეგმებიც ჰქონდა დასახული, როგორც თავისი სამმართველოს მუშაობის გასაუმჯობესებლად, ასევე საქართველოს სახიკეთოდ, მაგრამ, სამწუხაროდ, მხოლოდ თავისი ნათელი სახელი და საუკუნო მოგონება დაგვიტოვა.

საქართველოს მაშველთა კორპუსი.

რამდენიც კაცია, იმდენი აზრია

ნუ გავუღებთ კარს ყოველგვარ უკეთურებას!

მრავალ უბედურებას შორის ერთი უცნაურობაც გვჭირს: ფუფუნების, „ტკბილი ცხოვრებისადმი" ავადმყოფური მიდრეკილება. აქაო და თავისუფლება მოვიპოვეთო, ყველაფრის უფლებას ვაძლევთ თავს. ნაირგვარ ბიწიერებას ფართოდ გავუხსენით კარი და მღვრიე მორევში შავი ბიზნესი შავ საქმეს აკეთებს.

„აკრძალული თემებისადმი" სამოცდაათწლიანი შიმშილი საბედისწერო სიმძაფრით დავაგვირგვინეთ, უზნეობა ლამის ცხოვრების ნორმად ვაქციეთ. ხანგრძლივი შიმშილის შემდეგ ერთბაშად მუცლის ამოყორვას თუ რა შედეგი მოსდევს, ყველასათვის ცნობილია...

ვერაფრით ამიხსნია, როგორ შეუძლია ერთბაშად გამდიდრებულ ჩვენს თანამოძმეს პრესტიჟულ კლუბში მოკალათდეს და მონახვეჭის უაზრო ფანტვით მოჭირნახულობის სიამტკბილობაში ჩაიძიროს, მაშინ, როცა ჩვენი ქუჩები და გზაჯვარედინები მათხოვრებით არის სავსე. ხელგაწვდილი დგანან ბავშვები, უაზრო შინაომში დასახიჩრებული ახალგაზრდები, მიუსაფარი მოხუცები...

ყველა წესიერი ოჯახი, ფაქტობრივად, შიმშილობს და შიშის კანკალით ხვდება კარზე მომდგარ ზამთარს. ასეთ დროს აფიშები იუწყებოდნენ: **„სპორტის სასახლეში 10, 11, 12, 13, 14, 15 ოქტომბერს—პირველად თბილისში: არაჩვეულებრივი სპორტულ-ეროტიკული შოუ-პროგრამა. რინგზე და საჭიდაო ხალიჩაზე გამოვლენ ულამაზესი ქალები ამერიკიდან. თქვენ გელით სასიამოვნო სიურპრიზები..."**

ტელევიზიაც რეკლამას უკეთებს, რუსეთში თუ ამ შოუს ნახვისთვის ორმოცდაათი ათას რუბლს იხდიან, აქ შეძლებით შეღავათის დაშვება და ეს ბედნიერება მხოლოდ 10 ათასი რუბლი დაგიჯდებათო. შემდეგ ტელევიზორი ამერიკელ ამორძალთა „ორთაბრძოლების" „გამაოგნებელ" კადრებს აჩვენებს. მოდი და გაუძელი ამ ცდუნებას.

გვჭირდება დღეს ასეთი თვალის სეირი?! ჩემი აზრით, არა!

ქალი ოდითგან სიმშვენიერისა და სინაზის განსახიერება იყო. მისი კდემამოსილება სიმშვიდის, ლმობიერებისა და სიკეთის განწყობილებას ქმნიდა. მოკრივე და მოჭიდავე ქალი დიდობრიობას, ქალურობას იწინააღმდეგება. ქალი ყოველთვის ქალად უნდა დარჩეს და მისი ღირსება არ შეიბღალოს, ხოლო გაშლილი მანდილი მარადჟამს მშვიდობას ამკვიდრებდეს. ქალური და მამაკაცური საქმე თვით ღმერთმა გაყო და ვენდოთ უფალს, მისი გზა ჭეშმარიტია.

ლევან ფრუიძე.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ახალი გაზეთი

ქართული დამოუკიდებელი პრესის რიგებს შეემატა კიდევ ერთი გაზეთი — „ბიზნესექო", რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორია ჟურნალისტი გივი გოგინაშვილი.

ბიზნესექო
ცხოვრება ცალკე ადამიანისა თუ მთელის ერისა. უფრო ნელა-გლეჯის.ბაზარია.

გაზეთი გამოირჩევა რუბრიკების სიუხვით. როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური გაზეთი, „ბიზნესექო", მთავარ ყურადღებას უთმობს ეკონომიკურ მასალებს, ბიზნესთან დაკავშირებულ პრობლემებს. არ ივიწყებს აგრეთვე მასობრივი მკითხველისათვის გათვალისწინებულ პოპულარულ თემატიკას. როგორც სარედაქციო წერილშია აღნიშნული, „გაზეთის ფურცლებზე რაიმე კაცთმოძულე, ანტისახელმწიფოებრივი, გამაშფოთებელ წერილს ან ფრაზას ადგილი არ ექნება".

გაზეთის პირველი ნომერი გვაფიქრებინებს, რომ მისი რედაქცია სამართლიანად, სწორი გზით წარმართავს საქმიანობას.

ყურადღება!
უცხოური მარკის ავტომანქანების მფლობელებს ფირმა „სუპერ-ლუქს-სერვისი" გთავაზობთ სათადარიგო ნაწილებით ექსტრა მომსახურების ახალ ფორმას. თქვენთვის სასურველ ნებისმიერ დეტალს, აგრეგატსა თუ კვანძს მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში ჩაგაბარებთ.
შესაძლებელია საბითუმო შეკვეთების მიღება ნებისმიერი მარკის ავტომობილზე.
ფირმა ახლავე შეგიძენთ ნებისმიერი უცხოური მარკის ავტომობილების უახლეს მოდელებს უცხოეთში თბილისში ჩამოყვანით.
ცნობებისთვის დარეკეთ ტელეფონით: 99-02-28. ჩვენი მისამართია: დიდი ხეივნის ქ. № 3, ტელევიზორების ქარხნის შენობა, 1 სართული.

მთავარი რედაქტორი ზურაბ გოგიაშვილი.

ინდექსი 66434